სპორტი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 18 მაისი 2006 №111 (2733) ფასი 50 თეთრი

ევროპა ბარსელონას მახვილზე



AFP ბარი ზიდან

დიდი გუნდების დიდი დაპირისპირება დიდი წვიმის თანხლებით მისი უდიდებულესობის, „ბარსელონას“ გამარჯვებით დასრულდა! ის, რაც წუხელ პარიზის „სტად დე ფრანსზე“ მოხდა, ღირსეული გაგრძელება იყო იმისა, რაც ერთი წლის წინ სტამბოლის „ათათურქზე“ ვიხილეთ — დრამატიზმი, აი, რა აერთიანებთ 2005 და 2006 წლების ფინალებს.

ვინ რას ელოდა „ბარსელონასა“ და „არსენალის“ თამაშისგან? ვიღაც, ალბათ, ესპანეთის ჩემპიონისგან ლონდონელების განადგურებას, ვიღაც ლონდონელთაგან კატალონიელების გამოჭერას, ვიღაც რონალდინიოს შოუს, ვიღაც ანრისას, ვიღაც კი ამ ორი დიდვარსკვლავის დუელს.

და რა მოხდა სინამდვილეში?

ათი „მეთოფე“ ორი მახვილით განგმირეს...

FINALE 2006 PARIS

50 YEARS OF CHAMPIONS

ბარსელონა (ესპანეთი) 2:1 არსენალი (ინგლისი)

წახელ. პარიზი. „სტად დე ფრანსი". 80 000 მაყურებელი. მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

მწვრთნელი
ფრანკ რაიჯარდი

0:1 ჯემპბელი (37), 1:1 ეტოო (76), 2:1 ბელეტი (81)

1. ვალდესი

4. მარკესი 5. პუიოლი

23. ოლეგერი 12 . ვან ბრონკჰორსტი

15. ედმილსონი

20. დეკუ 17. ვან ბომელი

8. ჟიული 15. რონალდინიო

9. ეტოო

1. ლემანი

27. ებუ 28. ტურე 23. კემპბელი 3 .კოული

19. ჟილბერტო სილვა 15. ფაბრეგასი

7. პირესი 13. გლები

8. ლიუნგბერგი

14. ანრი

შეცვლა: ჰირესი – 24. ალმუნია (18), ედმილსონი – 24. ინიესტა (46), ვან ბომელი – 7. ლარსონი (61), ოლეგერი – 2. ბელეტი (71), ფაბრეგასი – 16. ფლამინი (74), გლები – 9. რეიესი (85)

გაფრთხილება: ებუ (22), ანრი (51), ოლეგერი (69), ლარსონი (90)

გაძევება: ლემანი (18)

ალმუნიას ფეხებში გატარებული ბელეტის მთავარი ევროპული გოლი

AFP ბარი ბიდან

მწვრთნელი
არსენ ვენგერი

ანრის უნდა გაეტანა და უნდა გაეტანა

თამაში სულ ოთხი-ხუთი წუთის დაწყებული იყო, როდესაც ანრის დიდებული მომენტი ჩაუვარდა ხელთ. ის მეკარე ვიქტორ ვალდესთან პირისპირ შევიდა და დაარტყა, მაგრამ გოლკიპერმა მოიგერია. ასეთი დონის შეხვედრებში მსგავსი მომენტების ვერგამოყენება შეიძლება ძალიან ძვირი დაჯდეს... და დაჯდა კიდეც „არსენალისთვის". ხოლო ვალდესის მიერ კუთხურზე გადაგდებულ ბურთი ლონდონელებმა ჩააწოდეს, ის კვლავ ანრიმ მიიღო, ინგლისური გუნდის ფრანგმა ვარსკვლავმა მცველი მოიშორა და დაარტყა, მაგრამ ისევ მეკარემ იყოჩაღა.

და იყო კიდევ ერთი ეპიზოდი, როდესაც ანრის გოლი უნდა გაეტანა. ეს უკვე მეორე ტაიმის 28-ე წუთზე მოხდა. იმ ეპიზოდში ანრი კვლავ გაცდა მცველს, მის წინ სივრცე და მეკარე ვალდესიღა იყვნენ დარჩენილი, მაგრამ ანრიმ ბურთი კვლავ პირდაპირ ვალდესს დაუმიზნა.

დასკვნა: როცა ტიერი ანრი ხარ და განგება ჩემპიონთა ლიგის ფინალში ორ დიდებულ შესაძლებლობას გაძლევს, ერთი მაინც უნდა შეაგდო.

ლემანი გააძევეს

და სწორადაც მოიქცნენ, რადგან ის, რაც „არსენალის" გერმანელმა მეკარემ პირველი ტაიმის მე-19 წუთზე გააკეთა, მხოლოდ წითელი ბარათით უნდა შეფასებულიყო. სხვათა შორის, ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩების ისტორიაში ეს პირველი გაძევება გახლდათ.

ეპიზოდი ასეთი იყო: ლემანი რონალდინიოს პასით მასთან პირისპირ შესულ სამუელ ეტოოს დაუპირისპირდა, ჩაუწვა და „ბოლო იმედის კვანტი" გამოსდო. მსაჯმა დაუსტვინა, თუმცა მოვლენათა დინამიზმმა მისი სასტვენი სადღაც ჩაკარგა, ბურთი კი ლუდოვიკ ჟიულის მიუგორდა და მანაც ბადეში შეაგდო. მაგრამ, აკი მოგახსენეთ, რომ მსაჯს უკვე ჩასტვენილი ჰქონდა, რათა ლემანი გაეძევებინა და ჯარიმა დაენიშნა.

ჯარიმა რონალდინიომ სახიფათოდ დაარტყა, თუმცა მანამდე „არსენალის" მწვრთნელმა არსენ ვენგერმა რობერ პირესი გაიყვანა მოედნიდან და მის მაგივრად სათადარიგო სეკარე მანუელ ალმუნია შეუშვა. ასე დარჩე ლონდონის გუნდი კაცნაკლული დიდ „ბარსელონასთან" შეხვედრაში.

ალმუნია

იენს ლემანის ნაცვლად შესულმა ესპანელმა მეკარემ ძალიან კარგად ითამაშა. როგორც პირველ, ასევე მეორე ტაიმში, მან მტკიცედ იმოქმედა გამოსვლებზეც და კატალონიური გუნდის სახიფათო დარტყმების მოგერიებისასაც, თუმცა ორი გოლი მაინც გაუშვა და ამ ორიდან მისთვის განსაკუთრებით დასანანი ალბათ მეორე იყო, როდესაც მახვილი კუთხიდან დარტმული ბურთი მარჯვენა მუხლზე მოხვდა და ფეხებს შორის გაუძვრა.

ფეხბურთში ხშირია, როდესაც ამა თუ იმ გუნდს ძირითადი მოთამაშე აკლდება და მის ადგილს მეორეხარისხოვანი კაცი იკავებს, ოღონდ ის კი არ კრთება, არამედ მთელ ძალღონეს იკრებს და გმირი ხდება.

მაგრამ ალმუნია გმირი ვერ გახდა...

გოლები

ანგარიში უმცირესობაში დარჩენილმა „არსენალმა" გახსნა. ეს პირველ ტაიმში მოხდა, როდესაც ეშლი კოული „ბარსელონას" საჯარიმოს სწრაფად მიუახლოვდა შეტევის მარჯვენა ფრთიდან, მაგრამ მას მარკ ვან ბომელი ჩაუწვა და... კაცმა რომ თქვას, არაფერი ყოფილა, მაგრამ მსაჯმა ჯარიმა დანიშნა.

ჯარიმა ანრიმ შეასრულა — საჯარიმოში აწია ბურთი, სადაც კატალონიელ მცველებს ტანმაღალი სოლ კემპბელი გამოეპარათ და მანაც ღონიერი თავურით შეაგდო.

„ბარსამ" გვიან, მეორე ტაიმის ბოლოში გაათანაბრა. შეცვლაზე შესულმა ჰენრიკ ლარსონმა სამუელ ეტოოს საუცხოო პასი მისცა. ამ აზრის გამოხატვა სხვა სიტყვებითაც შეიძლება, ლარსონმა ეტოოს საგოლე პასი ხონჩით მიართვა და კამერუნელმა დიდოსტატმაც შეირგო, მარცხნიდან შევიდია ალმუნიასთან მახვილი კუთხით და დაბალი დაურტყა.

შემდეგ კი იყო „ბარსას" მეორე, გამარჯვების გოლი, რომელიც კვლავ ლარსონის პასით გავიდა და ის ლარსონივით თამაშში გვიან ჩართულმა ჟულიანო ბელეტიმ გაიტანა. ბელეტიც მახვილი კუთხით, ოღონდ მარჯვნიდან შევიდა ალმუნიასთან და მანაც დაბალი დაარტყა.

არსენალი

ლონდონელთა დიდი გუნდობა მეორე ტაიმში, ეტოოს გოლის გაშვებამდე, განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა. ლონდონელებმა თერთმეტის წინააღმდეგ ათი კაცით აკონტროლეს თამაში, მტკიცედ დადგნენ დაცვაში, სწორად აწოდეს ბურთი ერთმანეთს და არც სილაღე აკლდათ. ამის დასამტკიცებლად თუნდაც ის მომენტი გავიხსენოთ, ანრიმ რომ გაინავარდა მარცხნიდან და მხოლოდ მეკარე ვალდესთან დაკარგა ბურთი. თუ გნებავთ, ფრედერიკ ლიუნგბერგის გარღვევაც გახსენოთ და, ბუნებრივია, ის მომენტი გავიმეოროთ, ზემოთ რომ გახსენეთ და ანრის საყვედური რომ ვუთხარით, მაგრამ...

ბარსელონა

პირველ ტაიმში, ლემანის გაძევებიდან ერთი ხნის შემდეგ, „არსენალის" გოლამდე, „ბარსელონამ" სიავისებურად, გემრიელად მოიგდო ბურთი ფეხში და სამჯერ თუ ოთხჯერ ჩაატარა საფირმო — მოედნის შუაში ბურთს რონალდინიო ეუფლება და მწვავე პასს აწვდის მარჯვნივ ჟიულისკენ ან წინ ეტოოსკენ. რონალდინიოს პასი, ჰლუს ჩამოთვლილი ორი ბარსელონელის რეაქტიული სისწრაფე მეტოქის დაცვას არღვევს და სახიფათო მომენტიც მზადაა.

მაგრამ „ბარსას" ამ ეპიზოდებში არ გაუმართლა, გოლი ვერ გაიტანა, მეორე ტაიმში კი ლონდონელებმა გაცილებით მკაცრი და ყურადღებიანი დაცვა დაუყენეს, სადაც გაძვრომა იოლი აღარ იყო, მაგრამ...

რონალდინიოს შებოჭავ? ეტოო დაგაშამათებს. ეტოოსაც შეავიწროვებ? ჟიული, დეკუ ან ვინმე სხვა გაიბრწყინებს, ბოლოს და ბოლოს კი ლარსონი შესარულებს ორ საგოლე პასს. ამ გუნდის ტოტალური შეჩერება დღეს შეუძლებელია, ის მაინც ჩაიგდებს ხელში წამს, როდესაც გაიბრწყინებს და თამაშის მოგებაც მეტი არაფერია, თუ არა ერთი-ორი ბარსელონური გაბრწყინება.

მატჩის შემდეგ

ტიერი ანრი: „დაულურჯებელი ადგილი არ დამრჩა. რაფაელ მარკესი და კარლეს პუიოლი მთელი თამაშის განმავლობაში მირტყამდნენ. მათ ყვითელი ბარათი უნდა მიეღოთ, მაგრამ, სამწუხაროდ, მსაჯმა თავის მოვალეობას თავი ვერ გაართვა.

...იენსი სამართლიანად გააძევეს, მაგრამ სხვა მხრივ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ჩვენი გამარჯვება არ უნდოდათ. სხვა დროს ჭკუას ვისწავლი და მეც მივმართავ ხერხებს, მაგალითად, განგებ წავიქცევი და მომენტებს გავაფორმებ.

...თამაშის წინ ყველა რონალდინიოზე ლაპარაკობდა. რა გითხრათ, მე მოედანზე ვერც ის დავინახე და ვერც ეტოო. მთავარი ჰენრიკ ლარსონი გახლდათ.

არსენ ვენგერი: „ძნელია ასეთ დამარცხებას შეეგუო, რადგან ფანტასტიკურად ვითამაშეთ. სამწუხაროდ, საბოლოოდ ხალხს მხოლოდ გამარჯვებულის ვინაობა ამახსოვრდება. მერედა, ის ეპიზოდი, როდესაც ლემანი გააძევეს, ოფსაიდს ჰგავდა და „ბარსელონას" პირველი გოლიც ძალიან ჰგავდა ოფსაიდს. მოკლედ, კარგადაა სანახავი, თუ პასის მომენტში თამაშგარე არ იყო, მაშინ ლემანის გაძევების მომენტში მსაჯი სწორად მოქცეულა".

პაპუნა კვედია

გაგრა და ცხინვალი დღეს გაირჩევა

გადრე კეთილაძის ფოტო

15 **მაისს** გლდანში, „ამერის“ სტადიონზე უმაღლეს ლიგაში ადგილის მოსაპოვებელ პლეი ოფში „ცხინვალი“ და „გაგრა“ შეიბნენ და დამატებითი დროის 20-ე წუთზე ერთმანეთს გვარიანი ცემა-ტყეპა გაუმართეს — არბიტრმა ლაშა სილაგავამ მატჩი აღარ გააგრძელა.

დღეს ამასთან დაკავშირებით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში სადისციპლინო კომიტეტის სხდომა გაიმართება ტატო ლასხიშვილის თავმჯდომარეობით — კომიტეტის დანარჩენი წევრები არიან თემურ ღაღანიძე, ზურაბ პეტრიაშვილი და ზვიად დარასელი.

ჩხუბისთავების და კონკრეტული პირების დასჯა ერთია, მაგრამ დისციპლინარები დღეს იმაზეც იმსჯელებენ, მატჩი გადათამაშდება, რომელიმე გუნდს წაგება ჩაეთვლება თუ ორივე გუნდს დისკვალიფიკაციას მისცემენ. შესაძლოა, სხვანაირი ვერდიქტიც გამოიტანონ, მაგალითად, დარჩენილი ათი წუთის ჩათამაშება.

სხდომა 12 საათზე დაიწყება...

ნიკა ჯორჯაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ტელეკომი

TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო
და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან
მაგთიზე და ჯეოსელზე **25** თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)

საქართველოს რეგიონებში **12** თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

დროის
წამობრივი
აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95,77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

სიახლე ჯეოსელისგან
ჯეო-მიქსი!

GEO *123#
ჯეო MIX მიქსი

აკრიფეთ
*123*9# YES
და
მომენტალურად
დაადგინეთ
ფეხბურთის
საფეხბურთო
ქალაქების ანგარიშები

SCORE LIVE

wap.geocell.com.ge

დავით ბოლქვაძის ტიტულნახევარი

ნახევრადჩემპიონობა სიონში, თასი ამერში

დავით ბოლქვაძე ან უკვე საქართველოს ჩემპიონ ბოლნისის „სიონიდან“ თბილისის „ამერში“ ამ ზამთარს გადავიდა, მაგრამ უტიტულოდ მაინც არ დარჩენილა — სადებიუტო სეზონშივე საქართველოს თასი მოიპოვა, ხოლო როგორც ყოფილი სიონელი, თავს ნახევრადჩემპიონადაც თვლის. საქართველოს მომავალი ჩემპიონიდან საქართველოს თასის მომავალ პატრონამდე — როგორი იყო ეს გზა დავით ბოლქვაძისთვის, აგერ წაიკითხავთ...

ბურთს ებრძვის ბოლქვაძე, ფოტო

— ეს სეზონი ჩემს კარიერაში მართლაც გამორჩეული იყო. ჯერ ერთი, თამაში განვაგრძე ახალ და ძალიან კარგ გუნდში და თანაც, პირველსავე ამერულ სეზონში თასი მოვიპოვე. სხვანაირ სიტუაციაში აღმოვჩნდი, ამ კლუბში საქმისადმი და ფეხბურთელებისადმი მიდგომა სულ სხვანაირია. თავიდან, ალბათ, ამიტომაც გამიჭირდა, მაგრამ ნელ-ნელა ყველაფერს შევეგუე, ამხელა წარმატებისთვისაც გუნდს, მგონი, შემთხვევით არ მიუღწევია — გვითხრა დავით ბოლქვაძემ, ვისაც ჯერჯერობით „ამერში“ ჩატარებულ 15 ოფიციალურ მატჩში გოლი არ გაუტანია.

— „ამერში“ თასი კი მოიგე, მაგრამ შენი ყოფილი გუნდი ჩემპიონი გახდა. გული არ დაგწყდა?

— არა, პირიქით, ბოლნისელთა ჩემპიონობა ძალიან გამიხარდა და ვულოცავ კიდეც „სიონს“ ამ ტიტულს. როცა „სიონი“ დავტოვე, მაშინ მწვრთნელი ხვიჩა ქასრაშვილი იყო და გუნდიც ერთ მუშტად შეკრული. ჰოდა, როცა მოვდიოდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ „სიონში“ იგივე ატმოსფერო იქნებოდა, ხოლო შეკრული გუნდი რასაც ნიშნავს, ყველამ კარგად იცის. „ამერში“ გადასულმა კი თასის მოპოვებით, ვფიქრობ, ჩემპიონობის სანაცვლოდ გარკვეული კომპენსაცია მივიღე და, ესეც რომ არა, თავს ნახევრადჩემპიონად მაინც ვთვლი.

— თქვი, რომ „ამერში“ გადასული სხვა სიტუაციაში აღმოჩნდი, იქ ფეხბურთელებისადმი და საქმისადმი სხვანაირი მიდგომაა. ეს შენს თანაგუნდელებსაც უთქვამთ. მაინც რით არის „ამერი“ „სხვანაირი“ გუნდი?

— ელემენტარული პირობებით დაწყებული, „ამერში“ ყველაფერი სხვანაირადაა. კლუბის ხელმძღვანელობა თითოეულ ფეხბურთელს გვიკეთებს იმას, რაც გვჭირდება და შესაბამისად ითხოვენ იმას, რაც სჭირდებათ, არარეალური არაფერია. აი, თასის ფინალისთვის მზადების პერიოდს გავიხსენებ. წინა დღით შიომღვიმის მონასტერში ვიყავით, დიდი მადლი ავიღეთ, მამამ დაგვლოცა, მატჩის წინ ჩვენმა მეკარე რევაზ ნაჭყეპიამ „მამაო ჩვენო“ წაგვიკითხა... მოედანზე გასულებს კი ჩვენი შვილები მიგვიძღოდნენ და თამაშის წინ ისეთი დამუხტული ვიყავი, მეგონა, საომრად მივდიოდი. ეს ყველაფერი ხელმძღვანელობის საქმისადმი და ჩვენდამი სხვანაირი მიდგომის კარგი მაგალითია.

— თასის ფინალსაც თავისთავად მივადექით. ფინალის შემდეგ რამდენიმე ზესტაფონელ ფეხბურთელს ვესაუბრე და მითხრეს, შოკიდან ჯერაც არ გამოვსულვართ, წაგებულ ფინალზე ვფიქრობთო. შენ რას ეტყოდი ზესტაფონელ ფეხბურთელებს?

— ალბათ მესამე ცდაზე გაგიმართლებთ. გაისად თუ ფინალში გახვალთ, თასს ნაღდად მოიგებთ... ოღონდ, ცხადია, თუ ფინალში „ამერს“ არ შეხვდებით.

— „ამერი“ გაისადაც ფინალში იქნება?

— რატომაც არა?!

— „ზესტაფონთან“ თამაშს ახლა უკვე ცივი გონებით როგორ გაიხსენებ?

— ვფიქრობ, საქმე ძირითად დროში უნდა მოგვემთავრებინა, მეორე გოლი ხომ ბოლო წუთზე მივიღეთ. ისეთი თამაში გამოვიდა, ჩვენზე მეტად, მგონი, ქომაგი დაიმუხტა, დამატებითმა დრომ და პენალტებმა კი ფინალს ეშხი შემატა.

— არადა, ზესტაფონელები თვლიან, რომ მთელი მატჩი სწორედ მათი უპირატესობით მიმდინარეობდა...

— როგორ გითხრათ, ყველა გუნდი თავისებურად თამაშობს და ხშირად მატჩის დროსაც ხდება ხოლმე ტაქტიკის გადაწყობა. „ამერი“ თავიდანვე დაწინაურდა და მერე თამაში დაცვიდან გავაგრძელეთ, ბურთს კი „ზესტაფონი“ აკონტროლებდა. ორი სხვადასხვა ყაიდის გუნდი თამაშობდა და, რა თქმა უნდა, გარკვეული უპირატესობა ერთერთს უნდა ჰქონოდა.

— როდის დარწმუნდი, რომ თასი „ამერს“ დარჩებოდა?

— მაშინ, როცა ვახტანგ ხვადაგიანმა მეხუთე პენალტი გაიტანა და ბოლო პენალტს „ზესტაფონი“ ურტყამდა. ისე კი, როცა პენალტებზე მიდგა საქმე, ჩვენი ადმინისტრატორი მამუკა კვანტალიანი მოვიდა და მითხრა, ნუღარ ნერვიულობ, ჩვენ უკვე მოგებულები ვართო... ამ სიტყვების მერე ყველანაირი დაძაბულობა მომეხსნა.

— თასი და ჩემპიონატში მეშვიდე ადგილი — რას იტყვი, ეს შედეგი „ამერისთვის“ მაქსიმუმი იყო?

— როცა ჩემპიონატში „ცხინვალთან“ სტუმრად წავაგეთ, მაშინ უკვე ცხადი გახდა, რომ პირველმეორე ადგილებს ვეღარ შევწვდებოდით და აქცენტი მთლიანად თასზე გავაკეთეთ. ამიტომაც იყო, ჩემპიონატის მომდევნო მატჩებს თასის შეხვედრებისთვის მოსამზადებლად რომ ვიყენებდით. ხანდახან ყვითელ ბართებს ვერიდებოდით, ხანდახან ახალ ტაქტიკურ ნახაზებს ვამუშავებდით, ტრავმებს ვიშუშებდით, მოკლედ, მთელი კონცენტრაცია თასზე გადავიტანეთ და, როგორც გამოჩნდა, ფინალს ყოველმხრივ მზად შევხვდით.

— „ცხინვალთან“ რომ მოგეგოთ, მაშინ როგორ იქნებოდა საქმე?

— მოსაგები არ გვქონდა?! იმ მატჩში პენალტის გარდა უამრავი ნაღდი მომენტი გავაცუდეთ, მეტოქემ კი მაშინაც ბოლო წუთზე გაგვიტანა. ჩვენთვის „ცხინვალთან“ ფრეს და წაგებას ერთი ფასი ჰქონდა.

— რომ მოგეგოთ, ჩემპიონატში და თასზე ერთი ძალით თამაშს შეძლებდით?

— ძნელი სათქმელია. რამდენ გუნდში მითამაშია, მაგრამ ასეთი უიღბლობა, როგორიც წლეულს „ამერს“ ჰქონდა, არსად შემხვედრია. თანაც მსაჯები... წარმოიდგინე, თასის ფინალშიც კი ვერ დაინახეს, მეტოქის პირველი გოლი თამაშგარედან რომ გავიდა.

— მალე „სარბიელის“ ტრადიციული გამოკითხვა საქართველოსა და საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელებს გამოავლენს. შენ რომ გკითხონ, ჩემპიონატის საუკეთესოებად რომელ ფეხბურთელებს დაასახელებდი?

— კოკა მიკუჩაძეს, ზურაბ იონანიძესა და თემურ რაქვიაშვილს.

— ამ სეზონში შენთვის ყველაზე დიდი მოულოდნელობა რა იყო?

— „დინამოს“ წარუმატებლობა. მიმაჩნია, „დინამოსთვის“ მესამე ადგილი სეზონის ჩაგდებას ნიშნავს. მოულოდნელობა იყო ისიც, რომ მეორე წრეში „ბათუმი“ ძალიან ძლიერად ათამაშდა.

— შენი ეს სათასო წარმატება ყველაზე მეტად ვის გაუხარდა?

— მამაჩემს და ჩემს სამი წლის ანანოს. თურმე, როცა ვთამაშობდი, ტელევიზორში ჩემს გამოსახულებას კოცნიდა. შინ მისულს კი მითხრა, წაქცეული რომ დაგინახე, მოგეფერეო.

— მეულლეც დიდი ქომაგი იქნება...

— ადრე ფეხბურთისა არაფერი გაეგებოდა, ახლა კი „პადკატებზე“ და „ოფსაიდებზე“ მელაპარაკება ხოლმე და გოლებს მთხოვს.

— ისე, „ამერში“ 15 ოფიციალურ მატჩში ერთი გოლიც რომ არ გაგიტანია, ეგ როგორ?

— რა ვიცი, როგორც ამბობენ, ყისმათი...

— პირველ სადებიუტო გოლს ოფიციალურ საერთაშორისო მატჩში ველოდოთ?

— კარგი იქნება...

ძოგა ინასარიძე

შეადგინე, რომ ვიცოდე...

უკრაინა საქართველოს თვეებით უსწრებს

უკრაინაში მომავალი სეზონის უმაღლესი ლიგის კალენდარი შეადგინეს და სუპერთასის მატჩის თარიღიც დათქვეს: თითქოს არაფერი, ხომ? ამ დროს კი საქართველოს ჩემპიონატის სამომავალსეზონო კალენდარი როდის იქნება, ღმერთმა უწყის. სავარაუდოდ, ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირით, ჰა-ჰა, ორი-სამი კვირით ადრე. ჩვენთან ხომ ჯერ ისიც არაა ბოლომდე ცნობილი, რამდენგუნდიანი იქნება უმაღლესი ლიგა...

არადა, ნებისმიერ ამბიციურ კლუბს სურს, წინასწარ იცოდეს სამომავლო კალენდარი, რათა იმის მიხედვით დაგეგმოს შეკრება, ამხანაგური თამაშები, გაანაწილოს ძალები... რა მოხდება, რომ ფედერაციამ ეს პროცესი დააჩქაროს და კალენდარი მალე გამოაქვეყნოს?!

ლუკა თალაკვაძე

გაგუა უკვე მერანელია

გუნდები ახლა შვებულებაში არიან, თუმც ზოგი უკვე შეუდგა საქმეს — უმაღლეს ლიგაში აღზევებულმა „მერანმა“ 26 წლის ვალერი გაგუა დაიმატა.

წინა სეზონი გაგუამ „სოხუმში“ გაატარა, გუნდი უმაღლესი ლიგიდან კი გავარდა, თუმც გაგუა „სოხუმში“ მართლაც გამორჩეული იყო. ამ გამთამაშებელს საქართველოს რამდენიმე გუნდის გარდა ლატვიურ „პოლიციასში“, ბერძნულ „აგიოსში“ და ისრაელში უთამაშია.

ნიკა ჯორჯაძე

აზერბაიჯანში ქართველებმა ადგილები გაცვალეს

აზერბაიჯანის ჩემპიონატის დასრულებას ერთი ტური უკლია, ბოლოსწინა ტურმა კი ლიდერი შეცვალა — ბაქოს „ნეფთჩიმ“ და ევლახის „ქარვანმა“ 0:0 ითამაშეს, ხოლო „ბაკომ“ „ოლიმპიკს“ 2:0 მოუგო, რითაც მესამე ადგილიდან პირველზე აინაცვლა, ხოლო „ქარვანი“ და „ნეფთჩი“ მეორე და მესამე ადგილზე ჩაქვეითდნენ.

„ქარვანში“ სრულად ითამაშეს ლექსო ინწკირველმა, რომან ახალკაცმა და გოჩა ტრაპაიძემ, „ნეფთჩის“ გიორგი ადამიამ და ვალერი აბრამიძემაც 90-90 წუთი ითამაშეს ისევე როგორც „ბაკის“ ალეკო გოგობერიშვილმა, ხოლო მისი თანაგუნდელი ალეკო რეხვიაშვილი 69-ე წუთზე ჩაერთო თამაშში.

„ბაკის“ 55 ქულა აქვს, „ქარვანს“ და „ნეფთჩის“ 53-53. ბოლო ტური 20-21 მაისს გაიმართება, თუმცა „ქარვანს“ „ბაკიზე“ და „ნეფთჩზე“ ერთით ნაკლები მატჩი ჩაუტარებია.

ნიკა ჯორჯაძე

სარდალმა მათებიჭს დაუძახა

საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა უახლოესი ამხანაგური მატჩებისთვის გამოძახებულ 26-კაციან შემადგენლობას ერთი ფეხბურთელიც დაამატა — მოსკოვის „ლოკომოტივის“ მცველი მათე ღვინიანიძე. ალბათ იცით, რომ ახალ ზელანდიასთან და პარაგვაისთან მატჩებისთვის ნაკრებში მიწვეული სამი ფეხბურთელი — ლევან ცქიტიშვილი, ლაშა სალუქვაძე და ზაალ ელიავა — ტრავმირებულია, ხოლო რამდენიმე სასურველ ფორმაში არ არის და ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად მწვრთნელმა ღვინიანიძესაც დაუძახა.

ხვალ-ზეგ კლაუს ტომპიოლერმა ნაკრებში, შესაძლოა, სხვა ახალ ფეხბურთელებსაც უხმოს, თუმცა ტრავმირებულებსაც და ჯანმრთელებსაც, ის შეკრებაზე მაინც წაიყვანს — მწვრთნელი სურვილია, გუნდის ყველა წევრი მასთან იყოს და მისი მოთხოვნები ყველასთვის გასაგები გახდეს.

ძოგა ინასარიძე

„დინამო“, „ტორპედო“, „ვიტ ჯორჯია“ — მანამდე მხოლოდ ამ სამმა მოახერხა საქართველოს ჩემპიონობა, წლეულს კი ბოლნისის „სიონი“ გახდა მეოთხე. პირველი წრე „სიონმა“ მეორე ადგილით ჩაამთავრა, მაშინ გუნდს ხვიჩა ქასრაშვილი წვრთნიდა, მეორე წრეში კი „სიონს“ კახა ცხადაძე ჩაუდგა სათავეში და მის ხელში გახდნენ ბოლნისელები ჩემპიონები. ბარემ იმასაც შეგახსენებთ, რომ ცხადაძე პირველ წრეში „დინამოს“ თავკაცობდა...

ბუბა ფალავანდიშვილის ფოტო

რატომ არის მწვრთნელობა უფრო ადვილი პერიფერიაში

სიონი სერბების დამატებასაც აპირებს

— პირველი წრე „დინამოში“ მეოთხე ადგილით ჩაამთავრეთ, „სიონში“ კი ჩემპიონი გახდით — პერიფერიულ კლუბში უფრო ადვილია მწვრთნელობა?

— ასეა, რადგან „სიონში“ მეტი თავისუფლებაა, იქ აბსოლუტურად დამოუკიდებელი ვარ. დამოუკიდებელი ვიყავი „დინამოშიც“, მაგრამ სწორედ ამას შევეწირე. ისიცაა, რომ მე „დინამოში“ ფეხბურთელიც ვიყავი, დინამოელობა ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს და როცა გუნდის მთავარი მწვრთნელი გავხდი, ეს ყველაფერი ფსიქოლოგიურ ტვირთად დამაწვა.

— „სიონში“ მაშინ მიხვედით, როცა გუნდს საშუასეზონო მოსამზადებელი ეტაპი თითქმის დასრულებული ჰქონდა — ასეთ დროს ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდში მისვლას ყველა მწვრთნელი ალბათ არ დათანხმდებოდა...

— გუნდს მოსამზადებელი პერიოდის ბოლო ეტაპზე უკვე მე ვხელმძღვანელობდი და სასელექციო სამუშაოს ჩატარებაც მოვასწარი — „სიონში“ რამდენიმე ფეხბურთელი მოვიდა და წავიდა, გუნდს დაემატნენ მიხეილ ხუციშვილი და დავით ჭიჭვეიშვილი. „სიონში“ მუშაობას იმიტომაც დავთანხმდი, რომ მინდოდა დამემტკიცებინა — ჩვენ ჩემპიონობა შეგვეძლო.

— „დინამოში“ კი პირველი წრე მეოთხე ადგილით ჩაამთავრეთ...

— ასე სხვადასხვა ფაქტორის გამო მოხდა. სეზონი რომ დავიწყე, მიზეზთა გამო ის გუნდი სექტემბერში უკვე აღარ მყავდა, რამაც გამოიწვია ჩავარდნა, მაგრამ პირველი წრის ბოლოს უკვე წინ მივდიოდით, ლიდერ „სიონსაც“ იოლად მოვუგეთ, გვქონდა იმის პოტენცია, რომ ჩემპიონები გავმხდარიყავით, მაგრამ... ეს უკვე განვლილი ეტაპია.

— „სიონს“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მოუწევს თამაში, რაც ახლანდელი რესურსით ალბათ ძალიან ძნელი იქნება...

— ბევრი იქნება დამოკიდებული სელექციაზე. ფეხბურთელთა ახლანდელმა კონტინგენტმა უმძიმესი სამუშაო გასწია, მაქსიმუმს მიაღწია და „სიონი“ დამსახურებულად გახდა ჩემპიონი. თუ ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპს გადავლახავთ, ეს უკვე წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

— სატრანსფერო გეგმებზე რას იტყვით?

— არის რამდენიმე ფეხბურთელი, ვისი „სიონში“ მოყვანა მსურს, მაგრამ ეს კლუბის ბიუჯეტზეა დამოკიდებული, რომელიც თვის ბოლოს გაირკვევა. კლუბის სპონსორ „მაღნეულის“ წარმომადგენელმა კობა ნაყოფიამ გამოთქვა სურვილი, იმაზე ბევრად მეტი თანხა გამოყოს „სიონისთვის“, ვიდრე ეს ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული. იცით, რომ გასინჯვაზე ველით ოთხ კამერუნელ ფეხბურთელს, ვფიქრობთ სერბი ფეხბურთელების მოწვევაზეც. თუ მოხერხდება სასურველი ფეხბურთელების დამატება, ისინი მხოლოდ ევროტურნირებზე კი არა, მთელ სეზონს ჩაატარებენ „სიონში“.

— „სიონი“ ევროტურნირზე ბოლნისში ვერ ითამაშებს?

— ბოლნისის სტადიონის რეკონსტრუქცია აუცილებლად დაიწყება, მაგრამ საევროტურნიროდ ალბათ ვერ მოესწრება. როგორც უნდა იყოს, საშვილიშვილო საქმე მაინც გაკეთდება — „სიონი“, ასე ვთქვათ, ერთი წლის გუნდი არ უნდა იყოს. სტადიონზე ახალი საფარი დაიგება, უწინდელს კი რატევანში გადაიტანენ, სადაც გუნდი ვარჯიშობს ხოლმე.

— ამ ეტაპზე დიდი მიზნებისთვის მებრძოლ ქართულ გუნდებში „დინამო“ ერთადერთია, საკუთარი ბაზა რომ აქვს, მაგრამ ასეთი უპირატესობის გამოყენება უჭირს — ასე იყო მაშინ, როცა თქვენ იყავით „დინამოს“ თავკაცი და ჯერჯერობით ასეა ანდრეი ჩერნიშოვის ხელშიც. რატომ?

— „დინამოში“ ერთი პრობლემაა — ერთსულოვნება არ არის. ხშირად იცვლებიან კლუბის ხელმძღვანელები და გუნდის მწვრთნელები, არასტაბილური სიტუაცია კი სტაბილურ შედეგს ვერ მოიტანს, თორემ „დინამოს“ საუკეთესო პირობები რომ აქვს, თქმა რად უნდა. კიდევ, ვინც აფინანსებს კლუბს, ის ყველანაირად უნდა იყოს ჩართული კლუბის საქმიანობაში და ყველაფერს აკონტროლებდეს.

— წინა სეზონში „დინამოში“ და „სიონში“ სასიამოვნოდ რომელმა ფეხბურთელებმა გაგაკვირვეს?

— „დინამოში“ ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი დაწინაურდა ჩემი მწვრთნელობისას — ნავალოვსკი, ჩირიკაშვილი, მერებაშვილი... კარგად გაიხსნა იაშვილი და გუნდის ლიდერადაც ყალიბდებოდა, წინ დგამდნენ ნაბიჯს მახარაძე და თომაშვილი, ჩემ დროს მოვიწვიეთ კობახიძე. „სიონში“ კი კარგად წარმოაჩინეს თავი ალავიძემ და უგრეხელიძემ, გაიხსნა მიკუჩაძე, ხოლო ხმალაძე მანამდეც იყო გუნდის ერთ-ერთი ლიდერი.

— თქვენ მიერ ჩამოთვლილი დინამოელებიდან ბოლო დროს ბევრი ვეღარ ხვდებოდა ძირითადში — არ აპირებთ მათი იჯარით წაყვანას „სიონში“, მით უმეტეს, როცა დინამოელების „სიონში“ განათხოვრების პრეცედენტი ბევრია?

— შესაძლოა, ასეთ შეთავაზებაზე „დინამო“ არ დაგვთანხმდეს, ჯერ ხომ თვითონ „დინამოა“ დასაკომპლექტებელი ახალი სეზონისთვის. მოკლედ, ამ თემაზე „დინამოსთან“ დალაპარაკება რთული იქნება.

— წინა სეზონში კიდევ რომელ ახალგაზრდა ფეხბურთელებს გამოარჩევდით?

— ძალიან მომეწონა ზესტაფონელი ფიფია, გამოვარჩევდი ამერელ წინამძღვრიშვილს და ბათუმელ სეთურიძესაც.

— თასის ფინალზე რას იტყოდით?

— ძალიან კარგი ფინალი გამოვიდა. „ამერის“ სწრაფმა გოლმა დიდი როლი შეასრულა მის გამარჯვებაში. როცა ფორა გაქვს, ბევრად უფრო იოლია თამაში, „ზესტაფონი“ კი ორჯერ იყო მდევრის როლში, ძირითადი დროის ბოლო წუთზე გატანილმა გოლმა ზესტაფონელებზე ფსიქოლოგიურად კარგად იმოქმედა, მაგრამ დამატებით დროში ძალა აღარ შერჩათ.

დავით თავართქილაძე

იაშვილი მიდის

აღარ მინდა მეორე ბუნდესლიგა!

ალექსანდრე იაშვილის და ოთარ ხიზანეიშვილის „ფრაიბურგმა“ მეორე ბუნდესლიგა მეოთხე ადგილზე ჩაამთავრა — ერთი საფეხური დააკლდა პირველ ბუნდესლიგაში დასაბრუნებლად. იაშვილს ბოლო ორ ტურში არ უთამაშია და, როცა მას გერმანიაში დავუკავშირდით, პირველ რიგში ამაზე ჩამოვუგდეთ სიტყვა...

— თავად ვუთხარი მწვრთნელს, ვერ ვითამაშებ-მეთქი, რადგან ჯანზე არ ვიყავი.

— შევიტყვეთ, რომ „ფრაიბურგში“ დარჩენას აღარ აპირებ და მომდევნო სეზონში სხვა გუნდში ითამაშებ...

— გადაჭრით ჯერ ვერაფერს გეტყვით. ვნახოთ, რა როგორ იქნება, მეორე ბუნდესლიგაში თამაში კი მართლა აღარ მინდა.

— ახალი გუნდის ვარიანტები უკვე გაქვს?

— კი, მაგრამ ჯერ გადაწყვეტილი არაფერია და ამ გუნდების დასახელებისგან თავს შევიკავებ.

დავით თავართქილაძე

ჰაინცი კმაყოფილია: ვიცით, რისთვის ჩამოვედით

ნუგზარ ბრესლაძის ფოტო

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები სლოვაკეთში გუშინწინ ჩაფრინდა და ზეგ უკვე პირველი მატჩი ელის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე — ჰაინც ტოპმიოლერის გაწვრთნილები თბილისის დროით 13 საათზე თურქეთის ნაკრებს ეთამაშებიან და ეს მატჩი დუბნიცას „მესტიზე“ გაიმართება.

უფროსმა ტოპმიოლერმა თბილისიდან 17 ფეხბურთელი იახლა, მეთვრამეტე — „რუბინის“ მეკარე ნუკრი რევიშვილი კი გუშინ ჩავიდა სლოვაკეთში.

„ბიჭები კარგად არიან მომზადებულნი, კონკურენცია აშკარაა და ყველა მათგანი ცდილობს ძირითადში მოხვედრას. ტრავმებს არავინ უჩივის, ყველაფერი გვაქვს საიმისოდ, რათა კარგი შედეგი ვაჩვენოთ. ვეცდებით, ეს ეტაპი დავძლიოთ“ — თქვა ჰაინც ტოპმიოლერმა და შეგახსენებთ, რომ საქართველო-თურქეთ -სლოვაკეთ-ირლანდიის ოთხეულიდან მხოლოდ პირველადგილოსანი გავა ჯგუფიდან.

ქართველი 19-წლამდელები დღეში ორჯერ ვარჯიშობენ. ეგაა, ჰაინც ტოპმიოლერს გადატვირთული კალენდარი აფიქრებს — მატჩები დღეგამოშვებითაა (19, 21 და 23 მაისს) და გადაღლის ფაქტორი დიდიაო.

ილია ნანოგაფვილი

ნუგზარ ბრესლაძის ფოტო

ალბათ, სკამს ვიმსახურებდი

ჯაბა კანკავას მეთოფედ დარჩენა არ გადაუწყვეტია

კიევის „არსენალმა“ უკრაინის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ადგილი ძლივს შეინარჩუნა, თავისი წვლილი კი ამ საქმეში ჯაბა კანკავამაც დაიდო.

დარჩება თუ არა ჯაბა „მეთოფეებში“? ამ და სხვა თემებზე სალაპარაკოდ ჩვენებურს კიევში დავუკავშირდით...

— „არსენალმა“ შვებულება მოგვცა და 14 ივნისამდე თავისუფალი ვარ. დარჩენისა რა გითხრათ, ეს საკითხი უახლოეს ერთ თვეში გადაწყდება.

— კონკრეტულად არც ერთი გუნდისგან არ გაქვს მიწვევა?

— ამ ეტაპზე არა, თუმცა შეიძლება, რაღაც შეიცვალოს.

— „არსენალში“ რომ გადახვედი, თავიდან სულ ძირითადში თამაშობდი, ბოლო ტურებში კი შეცვლაზე თუ შეჰყავდი ალექსანდრ ზავაროვს...

— მალტის 21-წლამდელთა ნაკრებთან მატჩზე რომ ჩამოვედი, იმის წინა ტურში „ზაკარპატიესთან“ კარგად ვერ ვითამაშე. მომდევნო ტურში კი „არსენალმა“ უჩემოდ მოიგო და ზავაროვმაც გამარჯვებული შემადგენლობა აღარ შეცვალა. ვფიქრობ, ამაში გასაკვირი არაფერია, მწვრთნელს მოვწონვარ და ეს ჩემთან დამოკიდებულებაში ეტყობა კიდეც.

— შარშან „ალანიაში“ თამაშობდი და იოლად შეადარებ: უკრაინის ჩემპიონატი რუსეთისას ძალიან ჩამორჩება?

— ძალიან არა. გააჩნია, ვის როგორი ფეხბურთი მოსწონს — უკრაინაში უფრო მეტია ბრძოლა და ფიზიკური მომზადებაზე გათვლა, რუსეთში კი უფრო მაღალი კლასია. თუმც „შახტარი“ და „დინამო“ კლასითაც კი, ალბათ, არც ერთ კლუბს არ ჩამოუვარდებიან.

— კიევის „არსენალის“ შეძენას დონეცკის „შახტარის“ პრეზიდენტი რინატ ახმატოვი აპირებსო, მართალია?

— მგონი, იყო ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ფეხბურთელები მაინცდამაინც არ ვართ საქმის კურსში.

— „არსენალში“ 18 წლის ლევან გულორდავაც ირიცხება...

— აქამდე დუბლებში იყო, ახლა კი ძირითად გუნდში გადმოიყვანეს. გულორდავა შემტევი ნახევარმცველია...

— საქართველოს ნაკრებს მალე შეკრება დაეწყება. შენ როდის შეუერთდები?

— დღეს მოვფრინავ თბილისში.

ილია ნანოგაფვილი



ცქიტიშვილს დღეები გამოუთვალეს

წინა კვირას გაუწყეთ, რომ საქართველოს ნაკრებისა და ბუნდესლიგური „ვოლფსბურგის“ 29 წლის ნახევარმცველმა ლევან ცქიტიშვილმა საზარდულის ოპერაცია გაიკეთა, ახლა კი ექიმებმა მას სარეაბილიტაციო პერიოდის ვადაც დაუდგინეს.

ცქიტიშვილმა ოპერაცია ბაზელში გაიკეთა და შვეიცარიელი ექიმების აზრით, მას კიდევ ხუთი კვირა დასჭირდება სარეაბილიტაციო პერიოდის დასასრულებლად.

აწ დასრულებულ ბუნდესლიგაში ცქიტიშვილმა ოდენ 14-ჯერ ითამაშა, რაც მეტწილად მისი ტრავმიანობით იყო გამოწვეული.

ნიკა ჯორჯაძე

კაპიტალი: ფული მთავარია, თუ მთავარი ფეხბურთია



„ფეირ პლეის“ პრინციპებისთვის რომ უნდა ვიბრძოლოთ, ჩინებულად ვიცით. ისიც ვიცით, რომ ეს ბრძოლა დაუყოვნებლივ არის დასაწყები, თუმცა ეგ არის, მეთოდებში ვერაფრით ვთანხმდებით. კლუბების წარმომადგენლები მისცემენ ერთმანეთს პატიოსან სიტყვას და მსჯობასთან დაკავშირებით ჩნდება პრეტენზიები, მსაჯობის დონის ამაღლებაზე ვიწყებთ საუბარს და უშუალოდ მოედანზე ფეხბურთელთა შორის გარიგებების თემა წამოიწევს წინა პლანზე... ეს ყველაფერი საბოლოო ჯამში ტაქტიკური ხერხებია, ბრძოლის სტრატეგია კი ჯერაც განსაზღვრა და დასახვეწი გვაქვს.

შევთანხმდეთ, რომ პატიოსანი თამაშისთვის უპირველესად საამისო სურვილია საჭირო — კლუბების მეპატრონეთა სურვილი. ეს კი, თავის მხრივ, პრიორიტეტებზეა დამოკიდებული. თუ კლუბი მყისიერ შედეგზე — მედალზე, თასზე, ევროსაგზურზე აკეთებს აქცენტს, ბუნებრივია, მისთვის მიზანი საშუალებას გაამართლებს და ყველა შესაძლო შემთხვევაში დათანხმდება ზემოთ ნახსენებ „მასესხე-გასესხეს“, „მიეცი და მოგეცემას“ და ასე შემდეგ. ამ შემთხვევაში წინ გარეგნული ეფექტები იწევს, რადგან საფეხბურთო კლუბი ერთგვარ აქსესუარს, ვიღაცის წინაშე „მარკების აწევის“ საშუალებას, ან სულაც ჰობს წარმოადგენს, თავად ფეხბურთი კი საღღაც უკან რჩება და საკუთარ წვენში თუხთუხებს. მაგრამ ფეხბურთი რომ ბიზნესია? თუნდაც საქართველოში სპორტის ეს სახეობა საკმაოდ სოლიდურ ინვესტიციებს მოითხოვს, რომელსაც აღრე თუ გვიან ამოღება სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, თავად ბიზნესი (ანუ ფეხბურთი) აზრს კარგავს. კლუბის მესვეური საქმიანობის ამგვარ ფორმას, ანუ დღევანდელი კვერცხის პრინციპით ცხოვრებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ამჯობინებს, თუ ფეხბურთში მისი კი არა, სხვისი, უფრო სწორად, არავის ფული იხარჯება — ქალაქის, რაიონის, რეგიონის, ჩემი, შენი, ჩვენი...

მაგრამ ასეთთა გვერდით საქართველოშიც არსებობენ კლუბები, რომლებზეც ვიღაცის კონკრეტული ჯიბიდან კონკრეტული ასობით ათასი იხარჯება. რა შანსი აქვს საფეხბურთო კლუბის კერძო მეპატრონეს, თუნდაც რამდენიმე წლის განმავლობაში მიიღოს უკუგება? ბილეთების რეალიზაცია? სასაცილოა. ტელეტრანსლაციები? მთლად უარესი. ტოტალიზატორზე თამაში? ჩვენი ჩემპიონატის გაგონებაც არავის უნდა. საქართველო დღესაც და უახლოეს ათწლეულშიც ფეხბურთელების ექსპორტიორ ქვეყნად დარჩება. ჩვენი ერთადერთი დანიშნულება საშუალო დონის კადრების აღზრდა და ევროპული ბაზრისთვის მიწოდებაა. იმისთვის კი, საშუალო დონის ფეხბურთელი მაინც რომ აღზარდო, სულ მცირე, საშუალო დონის ჩემპიონატი მაინც უნდა გაგაჩნდეს. მგონი, მივადექით იმ ინტერესსაც, რომელიც ამოძრავებს (უნდა ამოძრავებდეს) ფეხბურთში მოსულ კერძო ბიზნესმენს. მისთვის ინვესტიციის ამოღების ერთადერთ გზად ნიჭიერი ფეხბურთელების აღმოჩენა, მათი დაფრთიანება და დაკვალიანება რჩება. მიზნისკენ სავალი გზა კი გამართულ, დაძაბულ, გარიგებებისა და ყიდვა-გაყიდვისგან თავისუფალ ჩემპიონატზე გადის.

ასეთ პირობებში ადვილი განსაზღვრია პრიორიტეტი, რომელიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ და პროფესიული ფეხბურთის ლიგამ უნდა დაისახონ: ქართულ ფეხბურთში კერძო ბიზნესის ხვედრითი წილის გაზრდა, რასაც წინ შესაბამისი მიმზიდველი პირობების შექმნა უნდა უძღოდეს.

ქართულ საკლუბო ფეხბურთს ის ხალხი ვერანაირად ფეხზე ვერ დააყენებს, ვინც მას ხელფას-პრემიის ან სხვა სახის დივიდენდის მიღების წყაროდ აღიქვამს და არა ბიზნესად. ერთი წამით წარმოიდგინეთ, შარშან გიორგი ნემსაძისთვის გორის „დილა“ ოთუზბირი არ დაეფასებინათ, სულაც უფასოდ მიეცათ და ერთ-ერთ პირობად იმ ოთუზბირის კლუბში ინვესტირება დაეთქვათ. მოიგებდა ბიუჯეტიც, რომელმაც არცთუ დიდი, მაგრამ მაგრამ მაინც ფული დახარჯა კლუბზე, მოიგებდა თავად „დილა“ და მოიგებდა ქომაგიც — აღრე ბოლომდე რომ ავსებდა „თენგიზ ბურჯანაძეს“ და ახლა „ტაფათი“ და მისი რამდენიმე მეგობრით რომ შემოიფარგლება.

ანალოგიური მეთოდი ყველა იმ კლუბთან მიმართებაში შეგვიძლია გამოვიყენოთ, დღეს რომ ბიუჯეტიდან ფინანსდება. არადა, ახალს ხომ არაფერს ვამბობთ, მსგავსი ხერხი თბილისის მერიამ ეროვნულ სტადიონთა მიმართებაში უკვე გამოიყენა და საქმე მკვდარი წერტილიდან დაიძრა.

ეს ყველაფერი კი ქართული ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამამ უნდა დაიტიოს, თავდაპირველი გეგმით დეკემბერში რომ უნდა ეხილა დღის სინათლე...

გიორგი ნოზაძე

სკოლარის სამი მარჯვენა ხელი აქვს

სახლი და ვიდეო მზადაა

გერმანულმა სპორტულმა გაზეთმა „კიკერმა“ პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელის, ბრაზილიელი ლუიშ ფელიპე სკოლარის ინტერვიუ გამოაქვეყნა.

თუმცა იქნებ ასე უფრო უპრიანი იყოს: გერმანულმა სპორტულმა გაზეთმა „კიკერმა“ მსოფლიოს ჩემპიონი მწვრთნელის ლუიშ ფელიპე სკოლარის, იმავე ფელიპაოს და იმავე დიდი ფილის ინტერვიუ გამოაქვეყნა.

ერთი სიტყვით, იმის თქმა გვინდა, რომ სკოლარი ახლა პორტუგალიის ნაკრებს უდგას სათავეში, მაგრამ წინა მუნდიალზე, 2002-ში, ბრაზილიას წვრთნიდა და ტიტული მოაგებინა....

— ბატონო სკოლარი, თქვენ მორწმუნე ბრძანდებით?

— ძალიან. მე კათოლიკად აღმზარდეს, კათოლიკურ სკოლაში დავდიოდი და რწმენა ჩემს ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებს.

— მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში პორტუგალიის ნაკრები მარიენფელდში, სასტუმრო „კლოსტერაფორტეში“ დაბინავდება, სასტუმრო კი 800 წლის წინ აგებული მონასტრის პირდაპირ მდებარეობს. ეს კარგის მომასწავებელია?

— იმედი ვიქონიოთ, რომ კარგის მომასწავებელია. მარიენფელდის გასაცნობად ამ ქალაქში პირველად რომ ჩავედი, მონასტერშიც შევედი და ძალიან მომეწონა. ის, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ძალიან ლამაზია.

— ბრაზილიელებისთვის ფეხბურთი რელიგიაა...

— ნამდვილად. ასეა ჩემთვისაც. 18 წლის შემდეგ მხოლოდ ფეხბურთით ვარ დაკავებული. ფეხბურთი მთელ ჩემს ცხოვრებას განაპირობებს, ჩემსავით კი ბრაზილიაში ბევრი ადამიანია.

— პორტუგალიაში?

— დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ. შესაძლოა, ბრაზილიაში ცოტა მეტად არიან გატაცებულნი, მაგრამ ამას შეუიარაღებელი თვალით ვერ დაინახავ.

— როგორი გრძნობით ხვდებით ახალ ჩემპიონატს? თქვენ და ბრაზილიის ნაკრები მოქმედი ჩემპიონები ხართ და...

— თავს ჩინებულად ვგრძნობ. ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის. აპრილის ბოლოს მარიენფელდში ვიზიტმაც დამაწყნარა. ვიცი, რომ იქ ოპტიმალური პირობები დაგვხვდება. დასრულებულია სხვა მოსამზადებელი სამუშაოებიც. ჩემზე რომ იყოს, ჩემპიონატს ახლავე დავიწყებდი. ისედაც, ერთი სული მაქვს, როდის გაგორდება ბურთი.

— დღევანდელი პორტუგალიის ნაკრები 2004 წლისაზე ძლიერია?

— ვფიქრობ, ასეა და ამაში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი თამაშები დაგვეხმარა. გუნდში ერთსულოვნება გაიზარდა, ფეხბურთელებმა ზეწოლას გაუძლეს და გაიმარჯვეს.

— ზეწოლის გახსენებაზე: ოთხი წლის წინ, როდესაც ბრაზილიის ეროვნულ გუნდს ედექით სათავეში, ფავორიტები იყავით და თქვენგან ყველა მოგებას ელოდა, დღეს კი ამ მხრივ უკეთესად გაქვთ საქმე. პორტუგალიისგან მსოფლიოს ჩემპიონობას არავინ ელის.

— ერთი წუთით... 2002 წელს ბრაზილია მსოფლიოს ჩემპიონატის მთავარი ფავორიტი სულაც არ იყო.

— რას ბრძანებთ, ბრაზილია ნებისმიერ მუნდიალს ფავორიტის რანგში იწყებს.

— ჩემი აზრით მაშინდელი ბრაზილია დღევანდელივით კარგი არ იყო.

— აგვიხსენით, რას ამბობთ, თუ შეიძლება.

— კი ბატონო. 2002 წლის ბრაზილია შესახედავად კარგად დაკომპლექტებული გუნდი კი იყო, მაგრამ მას, ჩემი აზრით, დიაპაზონი აკლდა. დღეს ბრაზილიელთა მწვრთნელს მეტი არჩევანი აქვს. მის განკარგულებაში გაცილებით მეტი გამოჩენილი ფეხბურთელია. შეგახსენებთ, რომ ჩვენ, მაშინ, მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის უფლება მხოლოდ შესარჩევი ციკლის ბოლო შეხვედრებში მოვიპოვეთ და ქომაგებს თავიანთი ნაკრების დიდი რწმენა სულაც არ ჰქონდათ. მოკლედ, საწყისი პირობები სხვა იყო.

— პორტუგალიის შანსზე რაღას იტყვით?

— მსოფლიოს რვა უძლიერეს გუნდს შორის ვართ. შესაძლოა, ამ რვაში არც პირველები ვიყოთ და არც მეორე-მესამეები, მაგრამ რვა უძლიერესის კომპანიაში უდავოდ გვაქვს ადგილი.

— თებერვალში, გერმანიაში სტუმრობისას თქვენ განაცხადეთ, რომ ფინალში გასვლას გეგმავთ. ეს რეალურია?

— ეს ოცდათორმეტივე მონაწილის გეგმაა. მე ჩემი მოთამაშეებისთვის მხრებზე ზედმეტი ტვირთის შემოდება არ მინდა. სტიმული და მოტივაცია თავად ფეხბურთელებიდან უნდა მოდიოდეს. მათ თავად უნდა სურდეთ მთელი გულითა და სულით თამაში. მე თუ მკითხავთ, მეოთხედფინალში გასვლა უკვე წარმატება იქნება, რადგან პორტუგალიის ნაკრები მხოლოდ ერთხელ, 1966 წელს იყო მესამე ადგილზე, დანარჩენ შემთხვევებში კი, თუ მსოფლიოს ჩემპიონატზე ხვდებოდა, ჯგუფიდან ვერ გადიოდა.

— რა შეიცვალა ფეხბურთში 2002 წლიდან?

— ბევრი არაფერი. ტექნიკაში, ტაქტიკასა და ფიზიკურ მომზადებაში გუნდები სულ უფრო თანაბრდებიან. დიდი განსხვავებები აღარ არის.

— რით განსხვავდებიან სამხრეთამერიკული გუნდები ევროპული გუნდებისგან?

— სამხრეთ ამერიკელები უფრო თავისუფლად თამაშობენ, მეტი შემოქმედებით გამოირჩევიან, გულის კარნახს მეტად ენდობიან, ევროპაში კი მეტი ყურადღება თამაშის დაგეგმვას ეთმობა.

— ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალებში ყველაფერი ერთმა გოლმა გადაწყვიტა. მსოფლიოს ჩემპიონატზეც იგივე ხომ არ გველის?

— ასეთია დღევანდელი ფეხბურთი. ფიზმომზადების როლი და გავლენა სულ უფრო მატულობს. ექვსი ფეხბურთელით შეტევას ბურთის დაკარგვის შემდეგ რვა ფეხბურთელით თავდაცვა მოსდევს და ერთი პროცესიდან მეორეზე გადართვა ძალიან სწრაფად ხდება.

— ერთი სიტყვით, თამაშების ბედს, ისევე როგორც ჩემპიონთა ლიგაში, პატარა შეცდომები და დეტალები გადაწყვეტს?

— სწორედ ეგ მტკენს გულს. მსოფლიოს ჩემპიონატზე გოლების ფეიერვერკი არ იქნება. წინა ჩემპიონატების დარად ბევრ გოლებს ვერ ვნახავთ.

— არის ასეთი დაუწერელი კანონი: ევროპაში გამართულ მუნდიალებს ევროპელები იგებენ, სხვაგან — სამხრეთ ამერიკელები. შეიძლება ამ კანონის დარღვევა?

— ჰო... ვინაიდან ახლა ევროპაში ვცხოვრობ, კარგი იქნება ყველაფერი ძველებურად თუ დარჩება.

— თვენი აზრით ვინ იქნებიან მთავარი კანდიდატები?

— სამხრეთ ამერიკიდან ბრაზილია და არგენტინა, ევროპიდან იტალია, ინგლისი, გერმანია და ჰოლანდია. ზემოთ გითხარით, რომ რვა უძლიერესს შორისაა პორტუგალიაც, ოღონდ ტრავმებს უნდა გადავურჩეთ. თუ ბევრი მოთამაშე დაგვიშავდება, შემცვლელებს ფიზიკურად კი ვიშოვით, მაგრამ ხარისხისა რა მოგახსენოთ.

— მასპინძელთა ნაკრები მუდმივი კრიტიკის ქვეშაა. თქვენ როგორ აფასებთ გერმანიის ნაკრების თამაშს, მის სათავეში იურგენ კლინსმანის ჩადგომის შემდეგ?

— როდესაც ისეთი ადამიანები, როგორიცაა იურგენ კლინსმანი, ახალი გუნდის მშენებლობას იწყებენ, ბევრი რამის შეცვლა უწევთ და შესაბამისად აღმასვლებთან ერთად ჩავარდნებსაც აწყდებიან. ეს ფაქტია და ამას უნდა შეეგუოთ. ეს ყველაფერი შემიძლია შევადარო ნერგს, რომელსაც რგავენ. უცბად ხომ ვერ იქცევა დიდ ხედ? საჭიროა წყალი, მზე და ლოდინი რათა ნაყოფი გამოიღოს. მაგრამ, გერმანია მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელია და მას მაინც დიდი ანგარიში უნდა გაუწიოს ყველამ.

— პორტუგალიას ჯგუფში ანგოლა, ირანი და მექსიკა ერგო. ძნელი ჯგუფია?

— არც ერთი გუნდის შეფასებაში არ უნდა შევცდეთ. მხოლოდ მექსიკაზე ფიქრი დამლუპველი იქნება. ჩვენ პატივი უნდა ვცეთ ანგოლასა და ირანს, რომელთაც სრული კონცენტრაციით უნდა ვეთამაშოთ.

— ანგოლასთან დუელს, ალბათ, საგანგებო არომატი ექნება. ანგოლა ხომ პორტუგალიის ყოფილი კოლონიაა.

— ძნელი თამაში გველის. აქ საქმე მხოლოდ სპორტთან კი არა, კულტურასა და ისტორიასთანაც გვექნება.

— თქვენ გიცნობენ, როგორც მწვრთნელს, რომელიც საგანგებო ყურადღებას აქცევს დისციპლინას. ამბობენ, რომ ცდილობთ გუნდში ბრაზილიური და ევროპული ფეხბურთის სინთეზი მიიღოთ.

— კი ბატონო, თუ გნებავთ ასეც გავიგოთ. აქ დისციპლინა და ორგანიზაციაა, იქ — მოთამაშის პირადი თავისუფლება და შემოქმედება.

— თქვენი რჩეული კრიშტიანუ რონალდუა?

— მას სამხრეთამერიკელის ტექნიკა და ევროპელის ღონე აქვს. თამაშობს თავით, ურტყამს ძლიერად, ეხერხება დრიბლინგი. ჩემი ვარაუდით ის მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთ ვარსკვლავთაგანი გახდება.

— ლუიშ ფიგუს ნაკრებში დაბრუნება რამდენად მნიშვნელოვანია?

— ჩემთვის ის გადამწყვეტი ფეხბურთელია და განა მხოლოდ საფეხბურთო ოსტატობის გამო. მას გუნდში ხასიათი მოაქვს. ის ლიდერი და თანამოსაუბრეა.

— მოედანზე თქვენი მარჯვენა ხელი ვინ არის?

— ფიგუ, პაულეტა და კოშტინია.

— ჩემპიონატამდე დარჩნილ დროს როგორ იყენებთ?

— რაც დასაგეგმი იყო, ყველაფერი დაგეგმილია. ბინა შეგულებული გვაქვს, მეტოქეთა ვიდეოანალიზი მზადაა. ახლა, უბრალოდ კონტაქტს ვინარჩუნებ მოთამაშეებთან და ვცდილობ მზად ვიყო, რათა ვინმეს მწყობრიდან გამოსვლა არ გამომრჩეს და ნაკლი დროულად აღმოვფხვრა.

— და ბოლოს, თქვენი პირადი გეგმების შესახებ. კიდევ რამდენ ხანს უნდა იმუშაოთ მწვრთნელად?

— ექვსი-შვიდი წელიწადი. თან მინდა, ეს ევროპაში მოხდეს.

სარბიელი

სამუშაოდ იწვევს

გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე. (ორშაბათის და პარასკევის გარდა)

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

გახსოვს, როგორ დავხლართეთ?

ესპანეთი
პრიმერადივიზიონი XXXVIII ტური

სევილია 4:3 რეალი

0:1, 0:2 ბექემი (16, 26), 1:2 ხესუს ნავასი (28), 2:2, 3:2 სავიოლა (30, 34), 4:2 ლუის ფაბიანო (45), 4:3 ზიდანი (72)

სევილია: პალოპი, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, ესკუდე, დანიელ ალვესი, ხესუს ნავასი, ადრიანო კორეირა, მარტი, მარესკა (ფ. სალესი 80), სავიოლა (კანუტი 60), ლუის ფაბიანო (რენატო 60)

მწვრთნელი: ხუანდე რამოსი

რეალი: კასილიასი, სალგადო, სერხიო რამოსი, მეხია, რობერტო კარლოსი, სისინიო, ბექემი (სოლდადო 55), გუტი, ზიდანი, ფულიო ბაპტისტა, რაული (ხურადო 84)

მწვრთნელი: ხუან რამონ ლოპეს კარო

გაფრთხილება: სავიოლა, მარესკა, დანიელ ალვესი, პალოპი

მსაჯი: პერეს ბურული

45 000 მაყურებელი

ოსასუნა 2:1 ვალენსია

1:0 მილოშევიჩი (48), 2:0 დავიდ ლოპესი (50), 2:1 ვილია (90)

ოსასუნა: რიკარდო, კლავერო, მიგელ ფლანიო, კუელიარი, ხავიერ ფლანიო, რაულ გარსია (ვალდო 75), პუნიალი, დავიდ ლოპესი, დელპორტი (ორტისი 65), მილოშევიჩი, ვუბო (კრუჩაგა 87)

მწვრთნელი: ხავიერ აგირე

ვალენსია: კანისარესი, მიგელი, რ. აიალა, კარბონი, ალბელდა (უგო ვიანა 81), რეგეირო, ვისენტე (მისტა 61), ედუ, ალბიოლი, ვილია, ანგულო

მწვრთნელი: კიკე სანჩეს ფლორესი

გაფრთხილება: ედუ, პუნიალი, უგო ვიანა

მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო

19 800 მაყურებელი

ზიდანმა „რეალას" მაისურა საბოლოოდ გაიხადა

მადრიდში ზინედინ ზიდანის ხუთწლიანი მაგია დასრულდა. სამშაბათს დიდმა ფრანგმა უკანასკნელი მატჩი ითამაშა „რეალის" შემადგენლობაში და ინჩასებს „სევილიას" კარში გატანილი გოლით დაემშვიდობა...

„ჩემი გოლი მნიშვნელოვანი არ არის, მთავარია, რომ „რეალმა" ცხრილში მეორე ადგილი დაიკავა და გაისად ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს" — აღნიშნა ზიზუმ მატჩის შემდეგ ჟურანილსტებთან საუბარში.

დიდი კაცის „რეალიდან" წასვლა „სანჩეს პისხუანზე" ისევე მოკრძალებულად აღნიშნეს, როგორც თავად ზიდანია ცხოვრებაში. „თანაგუნდელებმა შეხვედრის შემდეგ წარმატება მისურვეს. არავითარი პომპეზური გაცილება რა იქნება" — ისე უბრალოდ თქვა ზიდანმა, თითქოს ბოლო 5 წლის განმავლობაში მადრიდელ გალაქტიკოსთა ხელმწიფე სხვა ვინმე ყოფილიყო. 2001-ის 9 ივნისს „იუვენტუსიდან" სარეკორდო ფასად, 78 მილიონ ევროდ გადავიდა და თავის პირველსავე სეზონში „რეალს" ჩემპიონთა თასი მოუტანა...

„გახსოვს, ის კომბინაცია რანაირად დავხლართეთ?" — ეშმაკურად შეეკითხა რობერტო კარლოსი ფრანგს „სევილიასთან" მატჩის შემდეგ და მხარზე დაჰკრა ხელი. რობერტომ 2002-ის ლიგის ფინალში პასი და ზიდანის ოქროს დარტყმა იგულისხმა, რომელმაც „რეალს" მეცხრე ჩემპიონთა თასი მოუტანა. მადრიდში ზიდანის ჩაუქობის შესახებ უახლოეს ხანში დაწვრილებით მოგახსენებთ, ახლა კი უბრალოდ ვთქვათ, რომ ხელმწიფე ტოვებს „რეალს"...

სხვა რა მოხდა პრიმერადივიზიონის ბოლო, 38-ე ტურში? ზიზუს აწ უკვე ყოფილმა სამეფო თეთრებმა „სევილიასთან" სტუმრად წაგვეს, თუმც რახან „ვალენსია" ნავარაში „ოსასუნასთან" ამოყრავდა, „რეალმა" პრიმერას მეორეადგილოსნობა გაინაღდა და გაისად ლიგას ყოველგვარი შესარჩევი ხლაფორთის გარეშე მიაკითხავს. „სანჩეს პისხუანზე" 26-ე წუთისთვის „რეალი" ბექემის გოლებით 2:0-ს იგებდა, თუმცა უეფას თასის მფლობელი ანდალუზიელები გონს მოეგნენ და პირველი ტაიმის მიწურულს უკვე 4:2 იყო „სევილიას" სასარგებლოდ — ხესუს ნავასმა, სავიოლამ და ლუის ფაბიანომ ივაჟკაცეს მასპინძლებიდან. მერე, მეორე ტაიმში, ზიზუმ ის თავისი გამოსათხოვარი ბურთი შეაგდო. „რეალს" ბოლოჯერ უთავკაცა ხუან რამონ ლოპეს კარომ. მომავალ სეზონში გუნდს სხვა, სავარაუდოდ უცხოელი გაწვრთნის.

„სევილიას" კი მადრიდელების წაქცევამ ვერ უშველა, პარალელურ მატჩში „ოსასუნამ" მილოშევიჩის და დავიდ ლოპესის გოლებით „ვალენსია" დაამარცხა და „სევილიას" ურთიერთშეხვედრებში გატანილი გოლებით აჯობა. „ოსასუნამ" საბოლოოდ მეოთხე ადგილი დაიმკვიდრა, „ვალენსიამ" კი — მესამე. ნავარელებთან ერთადერთი საპასუხო გოლი „ღამურათა" ვილიამ შეაგდო და მთავარმეგოლეობისთვის რბოლაში საშუელ ეტოოს დაეწია. თუმცა ეტოოს ვალენსიელის დაჯაბნვის შანსი კიდევ დარჩა, 20 მაისს „ბარსელონა" 2005-06-ის პრიმერაში ბოლო მატჩს ბილბაოს „ატლეტიკთან" ჩაატარებს.

ლადო ხომერიკი

ბარსელონა	37	25	7	5	79:32	82
რეალი	38	20	10	8	70:40	70
ვალენსია	38	19	12	7	58:33	69
ოსასუნა	38	21	5	12	49:43	68
სევილია	38	20	8	10	54:39	68
სელტა	38	20	4	14	45:33	64
ვილიარეალი	38	14	15	9	50:39	57
დეპორტივო	38	15	10	13	47:45	55
ხეტაფე	38	15	9	14	54:49	54
ატლეტიკო	38	13	13	12	45:37	52
სარაგოსა	38	10	16	12	46:51	46
მალიორკა	38	10	13	15	37:51	43
ბილბაო	37	10	12	15	37:45	42
ბეტისი	38	10	12	16	34:51	42
ესპანიოლი	38	10	11	17	36:56	41
რასინგი	38	9	13	16	36:49	40
სოსიედადი	38	11	7	20	48:65	40
ალავესი	38	9	12	17	35:54	39
კადისი	38	8	12	18	36:52	36
მალაგა	38	5	9	24	36:68	24

ბომბარდირები

ეტოო (ბარსელონა)	25
ვილია (ვალენსია)	25
რონალდინიო (ბარსელონა)	17
დ. მილიტო (სარაგოსა)	15
რონალდო (რეალი)	14
ფ. ტორესი (ატლეტიკო)	13
ფ. ბაიანო (სელტა)	13

გამოსავალია სანტალბანო

ფრანკო ბალდინი

„იუვენტუსის" ახალი ლუჩანო მოჯი კარლო სანტალბანო იქნება. ტურინული კლუბის ვანცხადებაში წერია, რომ მეწილეთა კრება გაიმართება 19 მაისს, სადაც განიხილავენ „იუვენტუსის" მომავალი მმართველობის საკითხებს და ძალაუფლებას სანტალბანოს გადაულოცავენ.

სანტალბანო 1964 წელსაა დაბადებული. ცხოვრების უმეტესი წილი მას საზღვარგარეთ, კოლუმბიაში, ბრაზილიაში, შოტლანდიასა და აშშ-ში აქვს გატარებული. ის გახლდათ ანიელების ოჯახის ფინანსური კომპანიის, **Lfil investment Spa**-ს გენერალური დირექტორი და ბარემ აქვე დავძინოთ, რომ სწორედ ეს კომპანია გახლავთ „ბებერი ქალბატონის" ძირითადი მეწილე.

რაც შეეხება სპორტულ მხარეს, როგორც ამბობენ ეს საქმე „რომას" ყოფილ დირექტორს ფრანკო ბალდინის ჩაბარდება.

„გადავალ თუ არა „იუვეში"? — კითხვაზე კითხვით პასუხობ ბალდინი — იქნებ გადავიდე, მაგრამ იქნებ არც გადავიდე".

შემდეგ კი ყოფილი რომაელი მიმდინარე სკანდალის შესახებ გამოთქვამს თავის შეხედულებას:

„დღეს ერთი შესაძლებლობის წინაშე ვართ. შეგვიძლია იტალიური ფეხბურთის ძველი ხელმძღვანელები მოვიშოროთ, შემდეგ კი ყველაფერი თავიდან დავიწყოთ. ოღონდ თავიდან დაწყებაც არაფერს მოგვცემს თუ წესებს არ შევცვლით. ყველამ უნდა გადავდგათ უკან ნაბიჯი. სკანდალმა, როგორც ირკვევა, საუკეთესონი ჩაითრია და შეიძლება ბევრი ჩვენთაგანი მაქინაციებში აქტიურად არ მონაწილეობდა, მაგრამ მეორე ლოყას ნამდვილად უშვერდა".

პაპუნა კედია

ტერი ვენეიბლზი

„მიდლსბროს" მწვრთნელი ტერი ვენეიბლზი გახდება. ამას ამტკიცებს ინგლისური „სანი" და, ალბათ, ასეც იქნება. ინგლისის ნაკრების ყოფილი თავკაცი უკვე ესაუბრა „ბოროს" თავმჯდომარე სტივ გიბსონს და სიტყვიერად შეუთანხმდა. ვენეიბლზი შეცვლის მაკლარენს, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ სვენ ვორან ერიკსონის ადგილს დაიკავებს. 63 წლის ვენეიბლზს „ბარსელონაში" და „ტოტენჰემში" უმუშავია, ხოლო ექვსი სეზონის წინ „მიდლსბროშიც" იყო. მაშინ მთავარ მწვრთნელ ბრაიან რობსონს ეხმარებოდა და „ბოროს" პრემიერლიგაში ადგილი შეუნარჩუნეს. 2001-ში კი ფეხბურთის თავი მიანება, ტელევიზიაში კომენტატორობა დაიწყო. ბოლოს ინგლისურ „ლიდსში" მუშაობდა, მაგრამ იქ ცხრა თვე დაჰყო და კლუბს 2003-ის მარტში დაშორდა.

ინგლისის ნაკრების მწვრთნელს ინგლისის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი შეცვლის

ვაჟა ხუციშვილი

არ წახვიდე, ზიზუ!

„მარკას“ კორესპონდენტი მადრიდში დიეგო მარადონას გაესაუბრა. მსოფლიო ფეხბურთის მეფე გასულ კვირა დღეს ათენში, „ოლიმპიაკოსის“ სტადიონზე მიეგზავნოდა და რამდენიმე საათით შეჩერდა „ბარცას“ აეროპორტში. დიეგო შესანიშნავ გუნებაზე გახლდათ და მედიასაც ფეხბურთზე თავის შვილებზე, ზიდანისა და რონალდინიოს მომავალზე გულახდილად ელაპარაკა.

ზიდანზე და რაულზე

— გეწყინთ, რომ ზიდანი ფეხბურთს ტოვებს?

— დიახ, ძალიან. ცუდია, რომ მიდის, რადგან ზიზუ იმ ასაკში ჯერ არაა, როცა ფეხბურთს უარს ეუბნებიან. თუმცა საქმეს თავად ფეხბურთელთა თვალით უნდა შეხედო

— ძალიან ბევრ მატჩს ატარებენ და ყველფერი ეს ნერვების წყვეტას იწვევს... მე ზიდანის გადაწყვეტილებას პატივს ვცემ, მაგრამ არ ვეთანხმები. ფეხბურთს ტოვებს ადამიანი, რომელსაც გულშემატკივრისთვის სიხარული მოჰქონდა. დარწმუნებული ვარ, ამის გამო მსოფლიოს ყველა ინჩასი დამწუხრებულია.

— ფრანგის ბურთაობაში ყველაზე მეტად რა მოგწონდათ?

— ზიდანი მაესტროა. მისი ყველაზე საუკეთესო მხარე ბურთის ფლობაა. ჩემთვის ან რონალდინიოსთვის ბურთთან ლაღობა ადვილია, უფრო პატარები ვართ, მაგრამ ზიდანი თავისი მასიური სხეულით ბურთის „დაბმას“ ბრწყინვალედ ახერხებს. ნახეთ გოლი, რომელიც „ვილიარეალს“ თავით შეუგდო? თითქოს ერთი შეხედვით ადვილი იყო მაშინ გატანა, თუმცა ზიდანმა ბურთი რთულ სიტუაციაში მოათვინიერა და კარიც დალაშქრა.

— ზიდანს პირადად იცნობთ?

— დიახ, იგი მორიდებული ადამიანია. ფრანწესკოლი ბევრს მიყვებოდა ზიზუზე... პირველად მსოფლიოს ჩემპიონატზე ვნახე და მივესალმე. მინდა, ზინედინ ზიდანს ვთხოვო, თამაში გააგრძელოს, ოღონდ არა ჯილდოების, არამედ იმ სიხარულისთვის, რითაც მოედანზე ყოფნით გვაჯილდოვებს.

— ზიდანი ფეხბურთის მეხუთე გრანდია პელეს, დი სტეფანოს, კრუიფისა და თქვენ შემდეგ?

— ასეთი რამეების არ მჯერა. რად გვინდა საუკეთესოთა დაჯგუფება? ეს აბსურდია. ყველა ვარსკვლავს ხალხისთვის სიხარული მოაქვს. აი, ეს უნდა გაითვალისწინოთ. რაც გითხარით, იტალიური გამოცდილებით ვიცი — უძნელეს სერია A-ში გულიტი, მათეუსი, ვან ბასტენი, ბაჯო და მე ყოველ კვირას მორიგეობით ვახარებდით ფეხბურთის გულშემატკივრებს. ზიდანიც იმ მობურთალთ მიეკუთვნება, ხალხს რომ ახარებენ. ვარსკვლავების კლასიფიცირება და ერთიმეორის წინ დაყენება საჭირო არ არის.

— ჰო, მაგრამ დღეს რომ ფეხბურთში მსგავსი მოთამაშეები ნაკლებად არიან?

— სამწუხაროდ, ასეა. ძველ დროსთან შედარებით გრანდები ცოტანი დარჩნენ, დღეს რონალდიოც თამაშობს და რონალდინიოც. „დინიო“ ამჟამად ყველაზე გამორჩეულია.

— ერთი წლის წინ „მარკასთან“ ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ. რაულს პატივს სცემთ. მადრიდელის არცთუ შესანიშნავი სეზონის შემდეგ ისევ ძველებურად ფიქრობთ?

— რა თქმა უნდა. ვხედავ, რომ იგი ხალისით და ჟინით თამაშობს... რაული სათამაშო ფორმას მალე აღიდგენს. ესპანეთში მის კრიტიკოსებს კი ვეტყვი: არ მოგწონთ რაული? ჩვენ მოგვეცით, არგენტინელებს და ჩაო! სერიოზულად რომ ვთქვათ, რაულს ესპანეთისთვის ჯილდოს მოტანა შეუძლია.

ესპანეთზე

— ესპანეთი თუ მიაღწევს წარმატებას მუნდიალზე?

— ესპანეთს, როგორც იტალიას, მსოფლიოს ჩემპიონატის ფავორიტებად არ თვლიან, არადა, ორივე კარგად ითამაშებს.

— რას ურჩევდით ესპანეთის ნაკრებს მსოფლიოს პირველობისთვის ჯეროვნად მოსამზადებლად?

— ვფიქრობ, ისტორიული მაგალითები უკვე აქვთ. ესპანეთის ნაკრები 1986 წელს ფავორიტი იყო, მაგრამ ფინალამდე ვერ მიაღწია. აქედან შეიძლება ბევრი რამ ისწავლონ. ესპანეთისთვის მუნდიალზე ოთხეულში მოხვედრა ტრიუმფი იქნება.

— ბოლო დროს თუ აკვირდებით ახალგაზრდა ესპანელი მოთამაშეების კარიერას?

— „არსენალის“ ესპანური წყვილი — სესკი და რეესი ძალიან მომწონს.

რიჯელმეზე

— ხუან რომან რიკელმეს თამაშიც მოგწონთ?

— ფენომენალური ფეხბურთელია. „არსენალთან“ რომ პენალტი გააფუჭა, გააკრიტიკეს, მაგრამ, ეტყობა, ის არ გაახსენდათ, პენალტებს მხოლოდ ისინი აფუჭებენ, ვინც მათ ასრულებს... „ვილიარეალის“ რამდენი ფეხბურთელი მივიდა მაშინ ბურთთან თერთმეტმეტრიანის დასარტყმელად? ეს ხომ დიდი რისკი იყო. რიკელმეს, წარმატების მიღწევაში მსოფლიოს ჩემპიონატზე, ევროპაში მიღებული გამოცდილება დაეხმარება. რომანს ერთადერთ რაღაცას ვურჩევდი — მეტი ივარჯიშოს და მუნდიალზე იყოს კონცენტრირებული.

მადრიდის რეალზე

— რას ფიქრობთ „რეალის“ პრობლემებზე? კლუბი თითქოს დინებას საჭის გარეშე მიუყვება.

— ძნელია, გამოთქვა აზრი, როცა დანამდვილებით არ ვიცი, რა ხდება „სანტიაგო ბერნაბეუზე“. ვთვლი, რომ „რეალს“ ცვლილებები სჭირდება, მაგრამ „გენერალური წმენდაც“ არ არის აუცილებელი. გუნდში რაული და რონალდო უნდა დატოვონ. ცვლილებებმა ფეხბურთელთა ერთიანობას და ამავდროულად მათ შორის კონკურენციასაც უნდა შეუწყოს ხელი — არავინ არ უნდა იფიქროს, ხვალ ძირითადში აუცილებლად მე დამყენებენო... ასეთია ფეხბურთი. მაგალითად, მე ვერასდროს ვერ წარმოვიდგენდი, ფლორენტინო პერესი გუნდიდან ასე თუ წავიდოდა. რას იზამ, მსგავსი რამეც ხდება ხოლმე.

— „რეალის“ მომავალმა პრეზიდენტმა, თქვენი აზრით, გუნდის მწვრთნელად ვინ უნდა მოიყვანოს?

— მწვრთნელი არ არის მთავარი ფეხბურთში. შეიძლება, მსოფლიოში საუკეთესო მწვრთნელი გყავდეს, მაგრამ მოედანზე საქმე ხომ ფეხბურთელებმა უნდა გააკეთონ. კარლოს ბიანკი გაიხსენეთ, ის თითქოს „ატლეტიკოსთვის“ იდეალური დამრიგებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ რატომღაც ფიასკო განიცადა. „რეალისთვის“ უმჯობესი იქნება, მწვრთნელმა ბიჭებს მოედანზე მეტი თავისუფლება მისცეს.

სერხიო აგეროზე

— სერხიო აგეროს „ატლეტიკოში“ გადასვლაზე რას ფიქრობთ? აგერო ხომ ახალი არგენტინული საოცრებაა...

— სერხიო ძალიან ნიჭიერია. არგენტინაში არავის ეპარება ეჭვი, რომ იგი დიდი ფეხბურთელი გახდება.

— როგორ ფიქრობთ, აგერო ესპანეთში თავის პირველსავე სეზონში გაიბრწყინებს, თუ, რახან ძალიან ახალგაზრდაა, ჯილდოს მოსაპოვებლად დაცდა მოუწევს?

— აგერო ჯერ 18-საც არ არის, ამიტომ ესპანელმა გულშემატკივრებმა მოთმინებით უნდა უცადონ, როდის გაიზრდება... თუმც დიდი ფეხბურთელი ნამდვილად გახდება.

ფრანგული „სენტ ეტიენი“ ახალი მწვრთნელის ძიებაშია. კლუბმა გამოცდილ ელი ბოპთან კონტრაქტი გაწყვიტა. იგი მომავალი სეზონიდან ქვედა ლიგაში გავარდნილ „ტულუზს“ უთავკაცებს.

გერმანულმა „ლევერკუზენმა“ „იანგ ბოიზიდან“ 19 წლის ნახევარმცველი პირმინ შვეგლერი დაიმატა. „ფარმაცევტებმა“ ნიჭიერ შვეიცარიელთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმეს. შეგახსენებთ, რომ აქამდე „ლევერკუზენი“ შტეფან კისლინგითა და ალექსანდრ მეიერით გაძლიერდა.

ფრანგულმა „ბორდომ“ რამდენიმე ფეხბურთელთან კონტრაქტი გაახანგრძლივა. ლილიან ლასლანდი ჟირონდელთა რიგებში კიდევ ერთ სეზონს გაატარებს. გუნდის თილისმა, კაპიტანი და მეკარე ულრიხ რამე „ბორდოში“ 2009 წლამდე დარჩება, ხოლო პერსპექტიულმა ჟულიენ ფობერმა ახალი, ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

შოტლანდიურ „რეინჯერსში“ ვენის „აუსტრიიდან“ თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩეხი ნახევარმცველი ლიბორ სიონკო ჩაირიცხა. 29 წლის ფეხბურთელმა გლაზგოელებთან სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

ფრანგულმა „სოშომ“ მთავარი მწვრთნელი დომინიკ ბიეტა დაითხოვა. მხარეებს მიზეზებზე არ უსაუბრიათ. 45 წლის ბიეტას მომავალი კლუბისა და სოშოელთა ახალი თავკაცის ვინაობა ჯერ უცნობია.

გერმანულმა „გლადბახმა“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან ჰორსტ კოეპელი დაითხოვა. მართალია, მან გუნდი ბუნდესლიგიდან გავარდნას გადაარჩინა და საკმაოდ სტაბილურად ათამაშებდა, მაგრამ უფროსობა ამან არ დააკმაყოფილა.

ფრანგულმა „ოსერმა“ ჟაკ სანტონისთან კონტრაქტი გაწყვიტა. ამბობენ, კლუბს ახლა ალან პერონი ჩაიბარებსო. სანტონის გაშვების მიზეზი კი ხელმძღვანელობასთან დაძაბული ურთიერთობა გახდა.

ნორვეგია

ტიპელიგა. VIII ტური

ბრანი — ტრომსიო 2:1; ფრედრიკსტადი — სტაბეკი 2:1; ლილესტრიომი — მიოლდე 3:0; ლინი — ჰამ კამი 1:0; რუსენბორგი — ოდ გრენლანდი 1:1; ვიკინგი — სანდეფიორდი 1:0; სტარტი — ვოლერენგა 1:2

ლილესტრიომი	8	6	2	0	16:7	20
ბრანი	8	5	3	0	14:6	18
ოდ გრენლანდი	8	3	5	0	10:4	14
რუსენბორგი	8	2	5	1	12:8	11
სტაბეკი	8	2	5	1	8:7	11
ლინი	8	3	2	3	8:9	11
მიოლდე	8	3	1	4	9:10	10
ვიკინგი	8	2	3	3	8:9	9
ფრედრიკსტადი	8	2	3	3	7:12	9
ჰამ კამი	8	2	2	4	9:11	8
ვოლერენგა	8	2	2	4	6:9	8
სანდეფიორდი	8	2	2	4	7:12	8
სტარტი	8	1	3	4	6:11	6
ტრომსიო	8	1	2	5	6:11	5

ბულგარული წინაკა მამლის დეზებით

დიმიტარ ბერბატოვი

ინგლისურმა „ტოტენჰემმა“ მომავალი სეზონისთვის ზრუნვა დიმიტარ ბერბატოვის შეძენით დაიწყო. მხარეების თქმით, ყველაფერი შეთანხმებულია და 25 წლის ბულგარელი 1 ივლისს „ტოტენჰემის“ წევრი ოფიციალურად გახდება.

„ტოტენჰემი“ ძლიერი გუნდია. გუნდს ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელები და ჩინებული სამწვრთნელო შტაბი ჰყავს. ვეცდები, მომავალ გამარჯვებებში ჩემი წვლილი შევიტანო“ — თქვა ფორვარდმა.

ბერბატოვის დებიუტი პროფესიულ დონეზე, 1998-99 წლების სეზონში, სოფიის ცსკა-ში შედგა, როდესაც იგი 18 წლის იყო. მან თავისი კარგი თამაშით არაერთი კლუბის ყურადღება მიიპყრო და 2001 წელს „ლევერკუზენში“ გადავიდა, სადაც ცოტა ხანში გუნდის წამყვან თავდამსხმელად იქცა. ბუნდესლიგის ამ სეზონში 34 მატჩში გატანილი 21 გოლით ბომბარდირთა დავაში იგი მეორე გახდა. ერონვნულ ნაკრებში მას 50-ჯერ უთამაშია და 31 გოლი აქვს გატანილი. ბერბატოვი 2002, 2004 და 2005 წლებში ბულგარეთის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.

„დიმიტარით მრავალი ქვეყნის კლუბი იყო დაინტერესებული. მიხარია, რომ მან ჩვენთან გადმოსვლა არჩია“ — აღნიშნა ლონდონელთა სპორტულმა დირექტორმა დემიენ კომოლიმ.

გიორგი კაკაბაძე

კალაჩი კალჩოს წინააღმდეგ

ავსტრალიის ნაკრების მეკარე, გოლიათი ჟელიკო კალაჩი გუშინდელი „გაძეტა დელო სპორტის“ ფურცლებზე მოხვდა, როგორც იტალიურ ფეხბურთში აგორებული სკანდალის მონაწილე. მოგეხსენებათ, კალაჩი, რომელსაც ადრე ინგლისშიც უთამაშია და ჰოლანდიაშიც, ერთი სეზონია „მილანის“ ფეხბურთელია, ოღონდ ძირითადად ბრაზილიელი დიდას შემცვლელობა უწევს. „მილანამდე“ კალაჩი „პერუჯაში“ გამოდიოდა.

კერძოდ რა დააშავა კალაჩმა? მისი შემთხვევა, ისევე, როგორც „იუვენტუსის“ მეკარის ჯანლუიჯი ბუფონისა, ტოტალიზატორში თამაშთანაა დაკავშირებული. საქმე ის გახლავთ, რომ იტალიური ფეხბურთის ანუ კალჩოს კანონების თანახმად ამ ქვეყანაში მოღვაწე ფეხბურთელებს არა თუ საკუთარ შეჯიბრებაზე, საერთოდ დანიძლავების უფლება არ აქვთ, ავსტრალიელი გოლკიპერი კი თურმე ვიდეოზეც აღუბეჭდავთ და ფოტოებითაც უმხელიათ, როგორ შედის სანიძლაო სახლში.

მეტი ამ ეტაპზე არაფერია. ერთი ეგ არის, იტალიელებს დიდი იმედი აქვთ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის, 75 წლის გვიდო როსის, რომელსაც ნახევარი წლით ანდეს საქმე და რომლისგანაც სერიოზულ სანქციებსა და რეფორმებს ელიან.

პაპუნა კედია

ესპანურ სიყვითლეს თურქული შეეყარა

თურქეთის ნაკრების ფეხბურთელი ნიჰათ კავეჩი „სოსიედადიდან“ „ვილიარეალში“ გადავიდა და „ყვითლებთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

თურქმა ბოლო ხუთი სეზონი ბასკურ კლუბში გაატარა და ქომაგების ერთ-ერთი საყვარელი მოთამაშე გახდა. ნახევარმცველი ჰქვია, თორემ მეგოლე უფრო იყო.

„სოსიედადის“ მაისურით 142 შეხვედრაში 58 გოლი მიითვალა, მაგრამ კონტრაქტი ივნისში უმთავრდებოდა და აღარ გააგრძელა. ნიჰათმა გუშინ გაიარა სამედიცინო შემოწმება ვილიარეალში, დღეს კი მას ოფიციალურად წარადგენენ.

რაკი „სოსიედადზე“ და ნიჰათზე ვთქვით, აქვე ისიც აღვნიშნოთ, რომ ბასკური კლუბის მწვრთნელი მომავალ სეზონშიც ხოსე მარი ბაკერო იქნება. იმავდროულად ბაკერო სპორტულ დირექტორობასაც შეითავსებს. მან მარტში შეცვალა გონსალო არკონადა და „სოსიედადი“ სეგუნდადივიზიონში გავარდნისგან იხსნა. თავის მხრივ, არკონადამ გუნდი ხოსე მარია ამორორტუსგან იანვარში ჩაიბარა.

ვაჟა ხუციშვილი



ლამის მკლავი

გერმანიის ნაკრებს პირველივე ამხანაგურ მატჩში ფეხბურთელი დაუშავდა. ფილიპ ლამს სამოყვარულო გუნდ „ლუკენვალდესთან“ შეხვედრაში მკლავი ეტკინა და ჰოსპიტალში წაიყვანეს. თამაში ბუნდესნაკრებმა 7:0 მოიგო და შემდეგ იტალიაში, კალიარიში გაეგმზავრა შეკრებაზე, სადაც, ცხადია, ფილიპ ლამი ვერ გაიყოლა. მატჩის მეორე ტაიმის განმავლობაში კლინსმანი ლამთან და ექიმთან ერთად გასახდელში იჯდა. „ჩვენ გვსურდა იმის დაზუსტება, მოტეხილი იყო თუ არა ხელი“ — განაცხადა ნაკრების მეკარეების მწვრთნელმა ანდრეას კეპკემ.

„ლუკენვალდესთან“ თამაში 60-წუთიანი იყო. ბასტიან შვაინშტაიგერმა ორი გოლი გაიტანა (ერთი პენალტით), ხოლო ასამოამ, ჰიტცლშპერგერმა, ნოვილმა, კლოზემ და ჰანკემ თითო-თითო მიითვალეს. ნაკრების დებიუტანმა დავიდ ოდონკორმა მარჯვენა ფლანგზე ითამაშა საკმაოდ კარგად.

კლინსმანმა განაცხადა: „ეს ახალგაზრდები მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიბრწყინებენ. ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი გვყავს და ამ გუნდს სამ კვირაში შევკრავ“.

„ჩელსიში“ გადასულ მიხაელ ბალაკს კი „ლუკენვალდესთან“ არ უთამაშია. ლონდონში იყო და არ ეცალა.

ვაჟა ხუციშვილი

საფრანგეთის ნაკრების მესამე მეკარე მიკაელ ლანდრო „ნანტიდან“ პსჟ-ში გადავიდა. მან კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. შეგახსენებთ, რომ 27 წლის ლანდროს კარიერა 1996 წელს „ნანტში“ დაიწყო და აქამდე მას სხვა კლუბში არ უთამაშია.

ესპანური „დეპორტივოს“ კარის დარაჯი ხოსე მოლინა ლაკორუნიელთა რიგებში გატარებული 6 წლის მერე კლუბს ტოვებს და კარიერის ინგლისში გაგრძელებას აპირებს. „ინგლისში თამაშზე ყოველთვის ვოცნებობდი და იმედია, მალე სასურველ კლუბს ვიპოვი“ — თქვა 35 წლის გოლკიპერმა.

იტალიური „ასკოლის“ ამჟამინდელი თავკაცი მარკო ჯამპაოლო მომავალი სეზონიდან „კალიარის“ გაწვრთნის. პერსპექტიულმა მწვრთნელმა ახლახან დასრულებულ სერია A-ში წარმატებული მუშაობით თავი ბევრს მოაწონა, მათ შორის სარდინიელებსაც.

გერმანულმა „აინტრახტმა“ „ჰამბურგიდან“ ნაოჰირო ტაკაჰარა იყიდა. ფრანკფურტელებმა იაპონელში 1 მილიონი ევრო გადაიხადეს და სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს. „აინტრახტი“ დატოვა ჩა დუ რიმ. 25 წლის კორეელმა „მაინცთან“ ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

ესპანურ „სარაგოსას“ მომავალ სეზონში ახალი მწვრთნელი ეყოლება. მიუხედავად იმისა, რომ კლუბი ქვეყნის თასის ფინალში გავიდა და პრიმერადივიზიონში ურიგოდ არ უთამაშია, ხელმძღვანელობამ ვიქტორ მუნიოსის დათხოვნა გადაწყვიტა.

იტალიურმა „ფიორენტინამ“ „პარმასგან“ მეკარე სებასტიან ფრეის კონტრაქტი ბოლომდე გამოისყიდა. ფლორენციელებმა 4 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. იტალიური პრესის ცნობით, „იებმა“ ფრანგთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმეს.

ფრანგულმა „სედანმა“, რომელიც უმაღლეს ლიგაში დაბრუნდა, უკვე დაიმატა პირველი ფეხბურთელი. სედანელებმა „ლანსიდან“ თავისუფალი აგენტის სტატუსით იან ლაშუერი გადაიყვანეს. მხარეებმა ერთწლიან კონტრაქტს მოაწერეს ხელი, ორი წლის ვახანგრძლივების პერსპექტივით.

ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა, ხრისტო სტოიჩკოვი ნაკრების თავკაცად დატოვოს. მართალია, მას ბევრი კრიტიკოსი ჰყავს და ცოტა ხნის წინ შოტლანდიასთან ამხანაგურ მატჩში 1:5 განადგურების მერე, მის დათხოვნას ელოდნენ, თუმც სტოიჩკოვს სრული ნდობა გამოუცხადეს.

სპილოს ნახტომი

მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე სამი კვირით ადრე ფიფამ ნაკრებთა რეიტინგი გამოაქვეყნა. ჩვენც, ის 32 გუნდი ამოვკრიბეთ, რომლებიც გერმანიაში მიემგზავრებიან.

დებიუტანტებიდან ყველაზე მაღლა კოტ დივუარის გუნდია და 32-ე ადგილს „სპილოებმა“ მას შემდეგ უწიეს, რაც იანვარში, აფრიკის ეროვნებათა თასის ფინალში გავიდნენ.

მასპინძელი გერმანია მეცხრამეტეზე ბრძანდება, ხოლო ჩემპიონი ბრაზილია, რა თქმა უნდა, კვლავაც რეიტინგის სათავეშია. აღსანიშნავია, ამერიკელთა მეხუთე ადგილიც, ხოლო საქართველო, რომელიც ამ ნუსხაში არ ჩანს 101-ე საფეხურზე ნებივრობს.



კარლოს ალბერტო პარეირა

FIFA Coca-Cola WORLD RANKING

1.	ბრაზილია	827		ხორვატია	686
2.	ჩეხეთი	772	26.	კოსტა რიკა	683
3.	ჰოლანდია	768	29.	პოლონეთი	677
4.	მექსიკა	758		სამხრეთ კორეა	677
5.	აშშ	756	32.	კოტ დივუარი	669
	ესპანეთი	756	33.	პარაგვაი	653
7.	პორტუგალია	750	34.	საუდეთი	651
8.	საფრანგეთი	749	35.	შვეიცარია	648
9.	არგენტინა	746	39.	ეკვადორი	631
10.	ინგლისი	741	42.	ავსტრალია	612
13.	იტალია	728	44.	სერბეთი	610
16.	შვედეთი	709	45.	უკრაინა	609
18.	იაპონია	705	47.	ტრინიდადი	604
19.	გერმანია	696	48.	განა	600
21.	ტუნისი	693	57.	ანგოლა	581
23.	ირანი	686	61.	ტოგო	569

სარგებელი და კრიკეტი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. ჩემპიონატი(ნ)						
		21 მაისი						
18:00	263	ლიდსი-უოტფორდი	2.70	3.20	2.45	1.46	1.28	1.38
		ინგლისი. II ლიგა						
		18 მაისი						
22:45	3	ჩელტენემი-უიკომბი	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
		ინგლისი. კონფერენსი(ნ)						
		20 მაისი						
20:30	264	ჰერეფორდი-ჰალიფაქსი	2.25	3.20	2.85	1.32	1.25	1.50
		ესპანეთი. II დივიზიონი						
		20 მაისი						
20:30	56	სიუდადი-ფერიოლი	1.60	3.20	5.50	1.06	1.23	2.02
20:30	57	ეიბარი-ლეიდა	2.80	3.00	2.35	1.44	1.27	1.31
20:30	59	ჰერკულესი-ელჩე	2.10	2.90	3.40	1.21	1.29	1.56
21:30	60	ნუმანსია-ალბასეტე	1.75	3.10	4.50	1.11	1.25	1.83
23:45	62	ტენერიფე-ეხიდო	2.10	2.90	3.50	1.21	1.31	1.58
		21 მაისი						
14:00	54	ალმერია-უელვა	2.60	2.90	2.55	1.37	1.28	1.35
20:00	55	კასტელონი-ტარაგონა	2.60	2.90	2.55	1.37	1.28	1.35
21:00	58	სპორტინგი-ლევანტე	2.60	2.90	2.60	1.37	1.29	1.37
19:30	61	რეალი(ბ)-მალაგა ბ	1.30	4.30	8.50	1.00	1.12	2.85
20:00	63	ვალიადოლიდი-ლორკა	2.60	3.00	2.50	1.39	1.27	1.36
21:00	64	სერესი-ჩერსია	1.70	3.10	5.00	1.09	1.26	1.91
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		21 მაისი						
20:00	88	მოლდე-სტარტი	2.35	3.20	2.80	1.35	1.27	1.49
20:00	89	ოდ ვერესლანდი-ბრანი	2.50	3.30	2.50	1.42	1.25	1.42
20:00	90	სანდეფიორდი-ფრედრიქსტადი	2.25	3.20	3.00	1.32	1.28	1.54
20:00	91	სტაბეკი-ლილესტრიომი	3.20	3.20	2.15	1.60	1.28	1.28
22:00	92	ლინი-რუსენბორგი	3.10	3.20	2.20	1.57	1.28	1.30
20:00	274	ტრომსიო-ვიკინგი	2.25	3.20	3.00	1.32	1.28	1.54
		22 მაისი						
21:00	93	ჰამარი-ვოლერენგა	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40
		ფინეთი						
		18 მაისი						
19:30	121	ჰაკა-ჰონკა	2.00	3.30	3.30	1.24	1.24	1.64
19:30	122	ინტერი-ჰიკ	3.10	3.30	2.05	1.59	1.23	1.26
19:30	123	კუოპიო-ტურკუ	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
19:30	124	მარიეჰამნი-ლაჰტი	2.45	3.20	2.55	1.38	1.24	1.41
19:30	125	ვპს-ტამპერე	4.40	3.40	1.70	1.91	1.22	1.13
20:00	126	მიუპა-კტპ	1.65	3.50	4.80	1.12	1.22	2.02
		მექსიკა						
		18 მაისი						
23:45	272	სან ლუისი-პაჩუკა	2.20	3.20	2.80	1.30	1.23	1.49
		ამხანაგური მატჩები						
		19 მაისი						
22:30	269	შოტლანდია(21)-თურქეთი(21)	3.00	3.10	2.20	1.52	1.26	1.28
		ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი ტულონში(20)						
		18 მაისი						
20:30	410	კოლუმბია(20)-მექსიკა(20)	2.40	2.70	2.90	1.27	1.31	1.39
22:30	411	საფრანგეთი(20)-ჰოლანდია(20)	2.00	3.10	3.20	1.21	1.23	1.57

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ეჩ (19) შესარჩევი რაუნდი. ბელარუსი						
		18 მაისი						
15:30	277	შოტლანდია(19)-ბელარუსი(19)	1.60	3.50	4.60	1.09	1.18	1.98
19:00	278	ბელორუსი(19)-საფრანგეთი(19)	3.30	3.10	2.00	1.59	1.24	1.21
		ეჩ (19) შესარჩევი რაუნდი. ბელგია						
		18 მაისი						
19:30	279	სერბეთი(19)-ჩრდ.ირლანდია(19)	1.60	3.20	5.50	1.06	1.23	2.02
22:00	280	ბელგია(19)-ინგლისი(19)	4.60	3.50	1.60	1.98	1.18	1.09
		ეჩ (19) შესარჩევი რაუნდი. ხორვატია						
		18 მაისი						
19:00	281	ისრაელი(19)-მაკედონია(19)	1.80	3.10	4.00	1.13	1.24	1.74
19:00	282	ხორვატია(19)-პორტუგალია(19)	2.60	2.70	2.60	1.32	1.29	1.32
		იაპონია. თასი						
		18 მაისი						
14:00	179	ნიიგატა-იჩიჰარა	2.25	3.00	2.85	1.28	1.25	1.46
14:00	180	ივატა-კოფუ	1.70	3.40	4.20	1.13	1.21	1.87
		რუსეთი. თასი						
		20 მაისი						
14:00	273	ცსკა-სპარტაკი	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
		შვედეთი. თასი						
		18 მაისი						
21:00	168	გეფლე-ატვიდაბერგი	1.40	3.70	6.50	1.01	1.15	2.35
21:00	169	ლანდსკრონა-იორგრიტე	2.20	3.20	2.75	1.30	1.22	1.47
21:00	275	კალმარი-აიკ	2.25	3.10	2.75	1.30	1.23	1.45
		ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი 2006 (ლატვია)						
		18 მაისი						
17:15	408	რუსეთი-ჩეხეთი	1.80	4.40	2.75	1.27	1.08	1.69
21:00	409	ფინეთი-ბელარუსი	1.15	6.00	9.00	1.00	1.01	3.59
		კალათბურთი. იტალია						
		18 მაისი						
22:30	283	ბოლონია-ბიელა	1.08	12.00	5.00	1.00	1.00	3.52
22:30	284	ნაპოლი-უდინე	1.30	12.00	3.00	1.17	1.00	2.40
		კალათბურთი. ესპანეთი						
		18 მაისი						
22:30	289	ტაუ-ხირონა	1.20	12.00	4.00	1.09	1.00	3.00
22:30	290	ხუვენტუდი-აუნკაბლე	1.35	12.00	2.70	1.21	1.00	2.20
23:00	291	უნიკახა-ესტუდიანტესი	1.20	12.00	4.00	1.09	1.00	3.00
		19 მაისი						
22:15	292	ბარსელონა-რეალი	1.45	12.00	2.55	1.29	1.00	2.10
		კალათბურთი. საბერძნეთი						
		18 მაისი						
20:00	287	არისი-პანათინაიკოსი	2.40	12.00	1.50	2.00	1.00	1.33
19:00	288	მარუსი-ოლიმპიაკოსი	2.30	12.00	1.50	1.93	1.00	1.33
		კრივი						
		20 მაისი						
23:45	348	მ.ა.ბერერა-რ.ხუარესი	1.15	20.00	4.00			

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაიაზუსტეთ

მკვლელობა ვარჯიშიდან ვარჯიშამდე

დავით მარგოშვილი ნაკრებში დაბრუნებაზე ფიქრობდა

ბოლო დროს საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების ყოფილი თუ მოქმედი წევრების თავს კარგი ამბები ნამდვილად არ ხდება. გიორგი რევაზიშვილი და ალექსი დავითაშვილი უკვე მეორე წელია, ციხეში სხედან გამოძალვის ბრალდებით. სასჯელს იხდის რამდენიმე ძიუდოისტიც, რევაზიშვილ-დავითაშვილის დაკავების გამო მოწყობილი დებოშისა და სასამართლოს დარბაზის დარბევისთვის. ამ დღეებში კი ყველაზე მძიმე დანაშაული — მკვლელობა მოხდა, რომელშიც ევროპის პრიზიორი დავით მარგოშვილია ეჭვმიტანილი.

საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის ბორჯომში ემზადება. შეკრებაზე ორმოცზე მეტი ძიუდოისტია ჩასული და, თქმაც არ უნდა, მარგოშვილიც იქ იქნებოდა, რომ არა ტრავმა...



ბაბრი კეთილაძის ფოტო

დათო ტატამზე ბოლოს მარტში გავიდა, პრაღის „მსოფლიოს თასზე“ და მხარი იტკინა — გვითხრა გუშინ ნაკრების თავკაცმა *შოთა ხაბარელმა* — ევროპაზე ჭიდაობის შანსი ფაქტობრივად მაშინ დაკარგა და მკურნალობაზე გადაერთო. ბოლო ორ ლიკანურ შეკრებაზე მაინც წამოვიდა და ცდილობდა, მაქსიმალურად დატვირთულიყო, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა.

— ამ შეკრებაზე რატომ აღარ წამოვიდა?

— ვერ დაიტვირთებოდა და ერთად გადავწყვიტეთ, ამ ეტაპზე მხოლოდ ინდივიდუალურად ევარჯიშა. ეს ვარჯიში ძირითადად ძუნძული იყო.

— ბოლოს როდის ესაუბრეთ?

— ბორჯომში წამოსვლამდე სამი-ოთხი დღით ადრე. თავად მითხრა, ჯობს ჩემს მაგივრად ვინმე ახალგაზრდა წაიყვანო, მისთვისაც უკეთესი იქნება და საერთო საქმისთვისაცო.

— როდის უნდა გაეგრძელებინა ვარჯიში?

— სრული დატვირთვით, ალბათ, ერთ თვეში შეძლებდა.

— მწვრთნელი ხართ და ყველაზე უკეთესად თქვენ გეცოდინებათ, ნაკრებში ადგილის დაკარგვის გამო დეპრესია ხომ არ ჰქონდა?

— სპორტში მსგავსი რამ ხშირად ხდება და პროფესიონალი სპორტსმენიც გაგებით ეკიდება. დათო რომ პროფესიონალია, ამას ჩემი მტკიცება არ სჭირდება. ევროპის ჩემპიონატზე წასვლის შანსი კი დაკარგა, მაგრამ სამომავლოდ ნაკრებს აუცილებლად გამოადგებოდა. ყველანი გაოგნებული ვართ, ასეთ რამეს ვერც ვიფიქრებდით.

— ბოლო პერიოდში დისციპლინას ხომ არ არღვევდა?

— ამ მხრივ საპრეტენზიო არასოდეს მქონია. ყოველთვის ცდილობდა, მაქსიმალურად კარგად ევარჯიშა. როგორც ვიცი, თბილისშიც მონდომებით ემზადებოდა.

ხაბარელის შემდეგ საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის პრეზიდენტ *ზურაბ კაბარიშვილსაც* შევეხმიანეთ. ისიც ბორჯომულ შეკრებაზეა ნაკრებთან ერთად. გარდა იმისა, რომ მარგოშვილის სარეაბილიტაციო პროცესს თავად ხელმძღვანელობდა, კახაბრიშვილი დათოს პირადი მწვრთნელიცაა და მეგობარიც.

— მკვლელობის ღამეს, დაახლოებით თერთმეტი საათისთვის დამირეკა. 15 მაისს დაბადების დღე მქონდა და მომილოცა. მერე მომიყვა, როგორ ვარჯიშობდა. მითხრა, დღეს კუს ტბაზე ვირბინე და ხვალ დილითაც ვაპირებო.

— ამბობენ, იმ ღამეს ნასვამი იყო...

— ჯერ ერთი, საერთოდ არ ეტანებოდა სასმელს, მეორეც, მე რომ მელაპარაკა, სრულიად ფხიზელი იყო. მითხრა, შინ ვარ, ტელევიზორთან ვზივარო. ერთი სული ჰქონდა, ჩვეული ფორმა აღედგინა. შემოდგომაზე მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი უნდა ჩატარდეს და უკვე იმაზე ფიქრობდა.

ოთარ ბაღლაძელიძე

ანდრეა ბელოვეზოვის ფოტო

შარშან დაწყებულს ეს ბიჭები წლეულს გააგრძელებენ

მსოფლიოსთვის უმცროსებს უფროსები მოამზადებენ

შემოდგომამდე სანაკრებო სეზონს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები დაასრულებს. ჩვენი 21-წლამდელები 5-26 ივნისს საფრანგეთის მყუდრო ქალაქ კლერმონ-ფერანში ახალგაზრდულ მსოფლიოს თასზე ითამაშებენ. რაკი შარშან ჩვენმა 20-წლამდელებმა ლევან მგელაძის მწვრთნელობით ესპანურ ვალიადოლიდში ევროპის ჩემპიონატზე იჩემპიონეს, რაგბის საერთაშორისო საბჭომ საქართველოს ნაკრები პირდაპირ დაუშვა მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე.

კლერმონ-ფერანში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები 12 ელიტარულ ნაკრებთან ერთად იასპარეზებს. მსოფლიოს თასისთის მხოლოდ ოთხი საუკეთესო გუნდი იბრძოლებს, რომლებიც ჯგუფური ეტაპის შემდეგ გამოვლინდებიან. ტურნირის ორგანიზატორებმა ისე ჩააკვარახჭინეს საქმე, რომ 12 გუნდი ოთხ ჯგუფში კი განაწილდა, მაგრამ ნაკრებები თანაჯგუფელებს კი არაა, სხვა ჯგუფელებს ეთამაშებიან.

პლეი ოფში მხოლოდ ჯგუფების პირველ ადგილოსნები გადიან. საქართველოს ნაკრების საპირველეტაპო მეტოქეები, მსოფლიო რაგბის გრანდები სამხრეთ აფრიკა, უელსი და ირლანდია იქნებიან.

საამტურნიროდ ჩვენმა 21-წლამდელებმა უკვე დაიწყეს მზადება გაფართოებული შემადგენლობით ჰყავთ. მზადების ბოლო ეტაპს ქართველი ახალგაზრდები ფრანგული სარაგბო ელიტკლუბის „კლერმონ-ფერანის“ ბაზაზე გაივლიან. მათი ერთკვირიანი შეკრება საქართველოს ნაკრებისა და ფრანგული „მონფერანის“ ლიდერების, გოდერძი შველიძისა და დავით ზერაქაშვილის დახმარებით მოხერხდა. მანამდე ამ კლუბის თილისმა, ქართველი „ლელოების“ კაპიტანყოფილი ლევან ცაბაძე იყო. ჩვენი 21-წლამდელების გაფართოებული შემადგენლობა ასეთია: *დიმიტრი ბასილაია, ბადრი ყალიჩავა, მიხეილ არჩუაშვილი, დავით კაჭარავა, სოლომონ კარუხნიშვილი, ვახტანგ ჩიხლაძე, გიორგი მჭედლიშვილი, ოთარ ტურაშვილი, ნიკოლოზ მალალთაძე, ირაკლი გეგენავა, გიორგი ბეგაძე, გოგა კაკოვინი, დავით კუბრიაშვილი, გალაქტიონ გაგნიძე, ლაშა აზალაძე, ლაშა თავართქილაძე, პაატა მისურაძე, გიორგი მაკვანაძე, გიორგი სოსელია, დავით გურგენიძე, ირაკლი ყიასაშვილი, გიორგი ულუნტი, მერაბ გაბუნია, ოთარ მინაშვილი, ლუკა კილასონია, ვანო სულამანიძე, ლაშა მალალურაძე.*

გერმანელებმა ქალები იტალიელს გამოაყოლეს

ჯოვანი გუიდეტის საქართველო სიურპრიზი ჰგონია

ჩინელი ჰი უან ლი შვიდ წელი იყო გერმანიის ქალთა ნაკრების მწვრთნელი და აგერ, ახლა, ბუნდესნაკრების ბოსებმა უთხრეს, რომ ჩვენთან აღარ დაგედგომებაო. ჩინელ მწვრთნელს მუშაობა არ მოუწონეს, რადგან ძალიან პერსპექტიულმა გერმანელმა ქალებმა დიდი ვერაფერი მოიგეს და მეტიც, ჰი ჟუნ ლის შეგირდი ქალებიც აუჯანყდნენ, აქაოდა მანდილოსნებთან მოქცევის აზრზე არ არისო.

ანგელინა გრუნი

ერთი სიტყვით, ჩინელი გაუშვეს და მისი ადგილი 40 წლის იტალიელ ჯოვანი გუიდეტის ჩააბარეს. გუიდიტი სახელიანი მწვრთნელია და თავის დროზე იტალიური კლუბები „სპეცანო“, „ვიჩენცა“ და „მოდენა“ გაუწვრთნია. 1997-2000 წლებში იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი იყო, ხოლო 2003 წელს ბულგარეთის ქალთა ნაკრებიც ანდვს. ამხელა შესავალი კი იმიტომ დაგეჭირდა, რომ გერმანიის ნაკრები საქართველოს მეტოქეა 2007 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში. გერმანიის გარდა ჩვენების მეტოქეები იქნებიან ლატვია და საფრანგეთი. ერთხელაც გავიმეორებთ, რომ შესარჩევი ტურნირის ჩვენი ჯგუფის პირველი წრე თბილისში 26-28 მაისს გაიმართება, მეორე წრე კი საფრანგეთში ჩატარდება.

გერმანელთა ახალ მწვრთნელს ჯოვანი გუიდეტის დებიუტი სწორედ თბილისში ექნება. მეტოქეებზე კი ეს თქვა: „ვფიქრობ, რომ ჯგუფის ფავორიტები გერმანია და ლატვია არიან. საფრანგეთს არ ეყოლება ვიქტორია რავა და კიდევ რამდენიმე ლიდერი. ქართულ ფრენბურთზე კი მართლაც არ მაქვს წარმოდგენა. თუმც არ გამოვრიცხავ, რომ საქართველომ სიურპრიზი შემოგვთავაზოს.“

ერთიც, მართალია, ჯოვანი გუიდეტის თბილისში ჩამოსაყვანი შემადგენლობა ჯერ არ გამოუცხადებია, მაგრამ გადაწყვეტილია, რომ სპორტის სასახლეში აუცილებლად ითამაშებს მსოფლიო ფრენბურთის ერთ-ერთ ვარსკვლავი, ანგელინა გრიუნი, ვინაც იტალიური „ბერგამოს“ საუკეთესო მომწოდებელია.

ბაჩო სვანიძე

საქართველოს ჩემპიონატი
პლეი ოფი. მესამე ადგილისთვის

ნიკორამ გამარჯვება რქებით გაათრია
10 წუთში გაბათილებული 20 ქულა

17 მაისი. ვერის ბაღი

თსუ-ნიკორა 2:1 სტუ

თსუ-ნიკორა 97:95 სტუ

ძირითადი დრო 86:86

14:25 22:18 18:31 32:12 11:9

თსუ-ნიკორა: მარხვაშვილი (2), ვეფხვაძე (9), ლეჟავა (17), ბეჟანიშვილი (15), მუშკუდიანი (5); ი. ბერიშვილი (27), დიდია (11), კეშელავა (9), სანიკიძე (2) ფანჩულიძე, ტყეშელაშვილი

სტუ: მიქაძე (8), ხეცურიანი (13), ლოსაბერიძე (13), შანიძე (13), მათიაშვილი (8); კეიდია (34), ახალკაცი (6), კოხრეიძე,

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

ირაკლი პერტაია

ირაკლი ბერიშვილმა (ბურთით) თსუ-ს ლამის მარტომ მოაგებინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო: ალექსანდრე ბერეკაშვილი

რაც ქართული კალათბურთი დამოუკიდებლად არსებობს, ასეთი რამ თითებზე ჩამოთვლელად თუ მომხდარა. გადამწყვეტი ათწუთიანის დაწყებამდე ერთი გუნდი მეორეს 20 და მეტი ქულით თუ უგებს, გამარჯვება თითქმის ხელთ აქვს — რა უნდა მოხდეს, რომ ვინმემ ასეთი სოლიდური უპირატესობა გაანიავოს.

გუშინ მოხდა, ბრინჯაოს სერიის მესამე მატჩში. ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა მესამე მეოთხედი ბრწყინვალედ ჩაითამაშა, რაც მანამდე დააკლო თსუ-ს, ამ პერიოდში დაამატა და ბოლო შესვენებაზე თითქმის გამარჯვებული გავიდა — 74:54 იგებდა.

სანამ ბოლო მეოთხედის დრამატულ ამბებს მოვყვებით, ისიც ვთქვათ, რატომ ჩავარდა თსუ ასეთ რთულ ვითარებაში. ან ყველაფერი, ან არაფერი — ზოგადად ეს დიდი ამბიციის მქონეთა დევიზია და თითქოს ასე დაემართა თსუ-საც. კომპანია „ნიკორასგან“ წელგამართულმა სტუდენტებმა რეგულარული ჩემპიონატის საწყისი 2 წრე წაუგებლად განვლეს და ჩემპიონობის უმთავრეს კანდიდატებადაც ითვლებოდნენ, მაგრამ მიზეზთა გამო საქმეები აეწეწათ. ფინალში ვერ გავიდნენ და მესამეობისთვის სტუ-სთან საბრძოლველად განწყობა არ ჰყოფნით — ოქროს უმიზნებდნენ და ბრინჯაოსთვის ჭიდილი ეგებ ეთაკილებათ კიდეც.

ასეა თუ ისე, ის კი ნაღდია, რომ თსუ გუშინ ძალიან უღიმღამოდ, უგულოდ და ყოველგვარი მოტივაციის გარეშე თამაშობდა საწყისი 3 მეოთხედის განმავლობაში.

უხელფასო და შედარებით მოკრძალებულ სტუ-ს კი გამარჯვების ჟინი კლავდა, შესაძლებლობის მაქსიმუმს იღებდა და გადამწყეტი მეოთხედის წინ გამარჯვებისთვის სამყოფი ჰანდიკაპიც დაიბევა, მაგრამ...

ბოლო მეოთხედის წინ თსუ-ელები ეტყობა, სინდისმა შეაწუხა და სწორედ მერე იყო, მათი ნამდვილი მონდომება და მიზანსწრაფვა რომ ვიხილეთ. სხვა გზა არ იყო, დავით უსტიაშვილმა პრესინგი გამოაცხადა, რასაც ნიკორელებმა თავი მშვენივრად გაართვეს.

თსუ-მ უკანმოუხედავად არ შეუტია, რაკი მანამდე სტუ-ელთა კონტრშეტევებით მწარე ალიყურები იგემა და დაცვიდან ითამაშა. ეგ იყო, თუ პრესინგის წყალობით ბურთს მოედნის შუაში ჩაჭრიდნენ, ნიკორელები მაშინღა გარბოდნენ სწრაფ შეტევაში.

თსუ-ს მთავარი მამოძრავებელი ძალა ირაკლი ბერიშვილი იყო, რომელმაც ბოლოს ყველა დაივიწყა და ბურთებს სტუ-ს კალათში რაგინდარა დისტანციებიდან აჭედებდა. როცა სასროლი პოზიცია არ ჰქონდა, ბერიშვილი ფარქვეშ შედიოდა, რაც უმეტეს შემთხვევაში მასზე დაჯარიმებით მთავრდებოდა და ტყუპისცალიც ხარბად იხვეჭდა ერთქულიანებს — 16 ცდიდან 12 ჩააგდო.

სტუ ბოლო მეოთხედში გვარიანად დაიბნა. ნიკორელებმა კი იმდენი მოახერხეს, რომ მეოთხე პერიოდის საწყისი 6 წუთი 24:7 მოიგეს და როცა ბესიკ ლეჟავამ მორიგი ქულები მიითვალა, სხვაობა მინიმუმამდე შემცირდა — 80:81.

სტუ-მ უკანასკნელი ძალები მოიკრიბა, ლაშა ლოსაბერიძის დახმარებით სირენამდე წუთით ადრე 6-ქულიანი ლიდერობაც მოიხელთა, მაგრამ ამას თსუ-მ უმკაცრესი პრესინგი და ბასრი სამქულიანები დაუპირისპირა. გამთანაბრებელი ბურთი ისევ ირაკლი ბერიშვილმა ჩააგდო და ანგარიში სირენამდე 12 წამით ადრე გაყიმდა.

დარჩენილ წამებში სტუ-ს ურეალურესი შანსი მიეცა, მაგრამ ფარქვეშ ეულად დარჩენილმა ლოსაბერიძემ ისეთი ბურთი ვერ ჩააგდო, აცილება რომ უფრო ძნელია.

უკვე ცხადი იყო, ოვერტაიმში ვინც მოიგებდა. ერთხანს თსუ 4 ქულითაც ჩამორჩა, მაგრამ სასწაულებრივად შემოტრიალებული მატჩის სადავეები ნიკორელებმა ხელიდან აღარ გაუშვეს. ისევ ბერიშვილმა გაიბრწყინა. მისი იყო თსუ-ს უკანასკნელი 4 ქულა, რამაც საბოლოოდ დაასამარა სტუ-ს იმედები.

სერიაში თსუ 2:1 დაწინაურდა და ბრინჯაოს მოსაგებად ხვალაც გამარჯვება მართებს.

---

16 მაისი

მეორე წრე

აღმოსავლეთი

მაიამი 4:1 ნიუ ჯერსი

მაიამი 106:105 ნიუ ჯერსი

მაიამი: უოლკერი (23), ვეიდი (21), ონილი (17), უილიამსი (12), მურნინგი (11)

ნიუ ჯერსი: კარტერი (33), ჯეფერსონი (33), კიდი (20 ქულა, 8 პასი, 6 მოხსნა, 4 ჩაჭრა), მიურეი (14)

ამ სერიას ასეთი დაძაბული მატჩი არ ახსოვს, მანამდელი ოთხ შეხვედრაში მოგებულ-წაგებულს სულ მცირე 10-ქულიანი სხვაობა აცილებდათ ერთმანეთისგან. ნიუჯერსელებმა ყველაფერი გააკეთეს პლეი ოფში დასარჩენად, ნემსის ყუნწში გაძვრნენ, ვინს კარტერმა და რიჩი ჯეფერსონმა ლამის იფრინეს, საშუალოდ მხოლოდ 11 ქულის მკეთებელმა 33 წლის ვეტერანმა ჯეისონ კიდმა კი 20 ქულა გაჩარხა და თითქმის შესწვდა ამ პლეი ოფში თავის პირად რეკორდს, მაგრამ „ნიუ ჯერსი“ მაიც გავარდა და 2002 და 2003 წლების ვიცე-ჩემპიონებმა ეს პირველ რიგში ისევ თავს უნდა დაებრალონ. თითქოს ამ დონის მატჩს პირველად თამაშობენო, ისე სულელურად გაფლანგეს 12-ქულიანი უპირატესობა.

ზედიზედ სამი შეხვედრის წამგებმა ნიუჯერსელებმა მატჩი ისე დაიწყეს, 20 ათასმა დადუმებულმა მაიამელმა ქომაგმა იფიქრა, ესენი ჩვენ „მაიამის“ შაკილონილიანად შეჭმას უპირებენო. პირველი მეოთხედის 33:24 მოგების შემდეგ „ნეთსმა“ მეორეში სხვაობა მალე 12-ამდეც გაზარდა — 36:24, მაგრამ ამის შემდეგ სტუმრები თითქოს გაზეიდნენ. მასპინძელთა ფორვარდმა ანტუან უოლკერმა სამქულიანი ჩააგდო, სატადარიგო გამთამაშებელმა გერი პეიტონმა კი სამიანიც, ორიანიც, საჯარიმოც და სტუმრებს უპირატესობა ხელში შემოადგნათ. „ნიუ ჯერსი“ მერეც ბევრს წვალობდა მაგრამ შორს ვეღარ გაიქცა, ლამის ქულა-ქულაში გაგრძელებული მატჩის ბოლო წუთებზე საბოლოოდ ჩამორჩა და ვინს კარტერის გმირობებსაც აზრი დაეკარგა. კარტერმა ბოლო წუთნახევარი პირადად მოუგო მასპინძლებს 6:1 და თავისი გუნდი „მაიამის“ ქულამდეც მიაახლოვა, მაგრამ საფინალო სირენამდე 1 წამით ადრე მასპინძელთა ლიდერმა დუეინ ვეიდმა ჯეისონ კიდის პასი ჩაჭრა და ყველაფერი აქ დამთავრდა.

„მაიამი“ ზედიზედ მეორედ გავიდა აღმოსავლეთის ფინალში და იქ „დეტროიტ“ — „კლივლენდს“ შორის გამარჯვებულს შეხვდება.

2006 NBA Playoffs

ფლორიდულმა მზემ ნიუ ჯერსის ფრთები დაუწვა

AFP ფოტოსტუდიიდან

ფინიჭელი ლეანდრო ბარბოსა „კლიპერსის“ დაცვას მიაღწევს

დასავლეთი

ფინიქსი 3:2 ულიპერსი

ფინიქსი 125:118 კლიპერსი

ძირითადი დრო 101:101

ფინიქსი: მერიონი (36 ქულა, 20 მოხსნა), ტ. ტომასი (25), ბელი (22), ნეში (17 ქულა, 13 პასი, 7 მოხსნა), ბარბოსა (15)

ცაქტიშვილი სათადარიგო იყო

კლიპერსი: ბრენდი (33 ქულა, 15 მოხსნა, 5 პასი, 5 დაფარება), რადმანოვიჩი (13)

დასავლეთში ყველას ყურადღება მეორე წყვილისკენაა მიპყრობილი, „სან ანტონიოსა“ და „დალასს“ შორის გამარჯვებული დიდი შანსია, ჩემპიონიც გახდეს, მაგრამ უინტერესო არც „ფინიქს“— „კლიპერსის“ ჯახი გამოვიდა. პლეი ოფში ბოლო 9 წელიწადში პირველად გასულმა „კლიპერსმა“ პირველ წრეში „დენვერი“ იოლად მოინელა და ახლა არც „ფინიქსს“ ეპუება. აგერ ორმაგოვერტაიმიანი ომი გაუმართა მისსავე მოედანზე.

ლოსანჯელესელებმა მესამე მეოთხედში 19-ქულიანი ჩამორჩენა გააბათილეს და ბრძოლის დამატებით დროში გადაყვანა შეძლეს, იქაც არ შეურცხვენათ თავი და სერიაში 3:2 თავად დაწინაურდებოდნენ, ფინიქსელთა მსროლელ რაჯა ბელს პირველი ოვერტაიმის დამთავრებამდე ერთი წამით ადრე სამქულიანი რომ არ ჩაუდო.

მეორე დამატებით დროში მასპინძლების ობობა თავდამსხმელმა შონ მარიონმა მეორე ოვერტაიმში თავისიანთა 14 ქულიდან 6 პირად ანგარიშზე ჩაიწერა, სულ კი ამ პლეი ოფებში სარეკორდოდ ბევრი - 36 ქულა მოაგროვა. საპლეიოფო რეკორდია 20 მოხსნაც.

სერიის მეექვსე მატჩს „კლიპერსი“ მასპინძლობს.

კოტე ყორჩია

ბაბრი ჯეთელაძის ფოტო

სტუდენტები მსოფლიოს პოლონეთში გაეცნობიან

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში ვაჟ ხელბურთელთა ორი ნაკრები ემზადება საერთაშორისო სარბიელზე საბრძოლველად.

ყოველდღიურად დილით 18-წლამდელები ვარჯიშობენ, შემდეგ კი მოედანზე სტუდენტური გუნდის კანდიდატები გადიან.

უმცროსები ორი კვირის შემდეგ სერბეთ-ჩერნიგორიაში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე გაიქნევენ ხელს. ჩვენებს მეტოქეებად უნგრელი, პორტუგალიელი და სერბი თანატოლები ჰყავთ. ჯგუფიდან ორი გუნდი გავა შემდგომ ეტაპზე.

ნაკრების ბირთვს შეადგენენ საქართველოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორ „ქარიშხალას“ მოთამაშეები, რამდენიმე ხელბურთელია ჩემპიონ „სტუ-შევარდენიდან“ და „ხკ თბილისიდან“. მთავარი მწვრთნელია ქარიშხლელთა წინამძღოლი ბექა ორჯონიკიძე.

უფულობის გამო ვერ მოხერხდა ბიჭებისთვის შეკრების ჩატარება, მაგრამ თუ მცირეოდენი თანხა მაინც გამოჩნდება, სერბეთის გზაზე გუნდი თურქეთში შეივლის რამდენიმე საკონტროლო მატჩის ჩასატარებლად.

რთული ამოცანის წინაშე დგანან სტუდენტები — მათ ხომ პოლონეთში, მსოფლიოს ჩემპიონატზე ძლიერ მოწინააღმდეგეებთან მოუწევთ შებრძოლება.

ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ამავდროულად საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტის მერაბ მეტრეველისა და მწვრთნელ ირაკლი კეკელიძის ხელმძღვანელობით ვარჯიშობენ: *გიორგი რობაქიძე, გიორგი წივწივაძე, დავით ნადირაძე, ამირან და ომარ ყოფიანები, აკაკი ტალახაძე, მალხაზ ჩუბინაშვილი, დავით ნიკოლაიშვილი, გიორგი კობახიძე, ვახტანგ ჯიშკარიანი, ბაკურ ცოტაძე (ყველა „სტუ-შევარდენი“), რატი მსხვილიძე, გაგა სამყურაშვილი, ლევან ბერძენიშვილი, ირაკლი სიგუა, ილია გოგალაძე („ქარიშხალა“), ლაშა სამარღანიშვილი, შოთა გრიშიკაშვილი, ირაკლი ქირია („ხკ თბილისი“)* და *ალექსანდრე ხონელიძე („ससსუ-მამული“).*

ათიოდ დღეში მათ შეუერთდებიან ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მოთამაშე ლეგიონერები: *ვლადიმერ რუსია (უკრაინა), სერგო დათუკაშვილი (შვედეთი), მამია კობახიძე (თურქეთი), რევაზ ჭანტურია (მაკედონია)* და *შოთა თევზაძე (ისლანდია).*

აღსანიშნავია, რომ 18-წლიანებს, მსხვილიძეს და სამყურაშვილს ორ ფრონტზე მოუწევთ ბრძოლა — ჯერ სერბეთში, მერე კი 1-10 ივლისს პოლონეთის საპორტო ქალაქ გდანსკში სტუდენტთა მსოფლიოს ფორუმზე.

საპოლონეთოდ მზადების გეგმაში გათვალისწინებულია თბილისსა და თელავში შეკრებები, რამდენიმე თამაში აზერბაიჯანის ნაკრებთან და თურქეთში იქაურ კლუბებთან სპარინგ-მატჩები.

გია ახალაძე

იაპონური ლორი ქართველად

მაისის ბაშოს დასრულებამდე ოთხი ტური რჩება, ქართველ სეკიტორ კოკის კი დადებით ბალანს კატიკოსამდე — ორი გამარჯვება. რვადღიანი წვალების შემდეგ ლევან ცაგურიამ გუშინლა შეძლო თავისი ბალანსის დადებითისკენ გადახრა.

მეთერთმეტე ტურში ჩვენებურის წინ უმაღლეს დივიზიონ მაკუტის დებიუტანტი, იაპონელი ხომასიო დადგა და კარგადაც ანერვიულა კოკაი. პირველი შეჯახებისას ჯავგურში ილეთიც გაკეთდა. თითქოს ყველაფერი დასრულდა, მაგრამ მსაჯებმა ვერაფრით დაადგინეს ვერც ილეთის გამკეთებელი და ვერც დამარცხებული. ბოლოს მონოიომ — წრის მსაჯების თათბირმა — შეხვედრის თავიდან ჩატარება — ტორინოსი გადაწყვიტა. იქ კი კოკაიმ სწრაფადვე მოამთავრა საქმე და ტრიბუნების ფავორიტი საჭიდაო ხაზს მიღმა მარილიან კალათაში ჩააგდო.

დღეს ცაგურია „პატარა ტანკად“ წოდებულ ტაკეკაძეს დაეჭიდება და თუ ისიც წააქცია, კატიკოსამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩება. წესით, მეშვიდე ქულის აღება არც უნდა გაუჭირდეს. ვერსაცაკ ტაკეკაძეს ანგარიშზე ხომ მხოლოდ ერთი ქულაა თერთმეტი შესაძლებლიდან.

ლიდერთა ტრიო კი გუშინ დუეტად იქცა. თითოწაგებიანი სეკივაკე მიაბიამა და ოძეკი ტიოტაიკაი ერთმანეთის პირისპირ დადგნენ და გამარჯვება უფრო დაბალ წოდებიან მიაბიამას დარჩა. ახლა იგი ოძეკი ხაკუხოსთან ერთად მიიწევს თასისკენ. ამ უკანასკნელმა გუშინ გვარიანი წვალების შემდეგ მონღოლი დეკაცი ტოკიტენკუ წამოაქცია.

დუეტს ტიოტაიკაის გარდა თითო ქულით ჩამორჩებიან პროფესიულ სუმოში მონღოლური და ესტონური სუმოს პიონერები — 33 წლის კიოკუსუძანი და 21 წლის ბალტი. დღეს კიოკუსუძანი ხაკუხოს დაეჭიდება. არანაკლებ მძიმე ბრძოლა ელის მეორე ლიდერსაც. მიაბიამა „ბალკანელ გულივერად“ წოდებულ 203-სანტიმეტრიან ბულგარელ კოტოოშუს კარიერაში მერვედ ხვდება. წინა შვიდი ბრძოლიდან კი ხუთჯერ თავდახრილმა დატოვა ხალიჩა.

ოთარ მაღლაკელიძე



AFP

მონღოლმა ხაკუხომ თვისტომი ტოკიტენკუც დასცა

AFP რიგიდან

უკრაინელებმა სლოვაკ მეკარეს ვერაფერი მოუხერხეს

მსოფლიოს ჩემპიონატი 2006

ლუკაშენკოს შეუძლია იამაყოს

შვეიცარიელებს ეგებ „ნაპოლეონური“ გეგმები აქვთ და მსოფლიოს საუკეთესოთა „დიდ შვიდეულში“ გაწევრიანება სურთ, მაგრამ სხვაგვარად ფიქრობენ ბელარუსები. მოგეხსენებათ, შვეიცარიამ ყველა გააოცა, როდესაც ოლიმპიადაზე კანადა და ჩეხეთი დაამარცხა. ასე რომ, მსოფლიოს ჩემპიონატზე ისინი, სულ ცოტა, მეოთხედფინალში გასვლას გეგმავდნენ. მათდა საუბედუროდ, ბელარუსებთან ბოლო მატჩში ფრეც ხელს აძლევდათ და განზრახ შედეგზე თამაშმა ცუდი ნაყოფი გამოიღო. უკვე მე-10 წუთზე ბელარუსები წინ გაიჭრნენ, ხოლო მეორე პერიოდში მეორეც გაიტანეს, რასაც შვეიცარიელებმა ერთი საპასუხო გოლითღა უპასუხეს. ეს იყო და ეს. ისე, გასაკვირია, როგორ ახერხებენ ბელარუსები დროდადრო ხმაურიანი სიურპრიზების გაკეთებას. მართალია, ჰოკეის თვით ალექსანდრ ლუკაშენკო პატრონობს, მაგრამ იქაური ჩემპიონატი სიძლიერით არ გამოირჩევა, წამყვანი მოთამაშეები კი მაქსიმუმ რუსეთის საშუალო დონის გუნდებში გამოდიან. თუმც 2002 წელს მათ ოლიმპიადაზე თავად შვედები „გააგორეს“ მეოთხედფინალში, ახლა კი იგივეს ფინეთთან შეხვედრაში შეეცდებიან. აი, რუსებს კი, რომლემაც ჩინებულად ჩაატარეს პირველი ორი ეტაპი და ერთხელაც არ დამარცხებულან, მრავალწლიან მთავარ კონკურენტ ჩეხეთთან (ცხადია, ეს დაპირისპირება უფრო მწვავე 70-80 წლებში იყო, როცა ორივე ნაკრები დომინირებდა) მოუწევთ ჯახი. ჩეხებმა თავად „ინებეს“ ასე, როცა საკმაოდ მოულოდნელად დამარცხდნენ ბოლო მატჩში აშშ-ს ნაკრებთან. თუმც მოგების შემთხვევაშიც მაინც და მაინც იოლი მეტოქე არ შეხვდებოდათ — ეს შვედეთი იქნებოდა. ახლა კი სკანდინავები სწორედ ამერიკელებს დაუპირისპირდებიან, ხოლო კიდევ ერთი მეოთხედფინალური წყვილი კანადამ და სლოვაკეთმა შექმნეს. მეოთხედფინალები 17 და 18 მაისს გაიმართება.

სამველ ღარიბიანი

16 მაისი

E ჯგუფი						
ჩეხეთი 1:3 აშშ						
ლატვია 4:2 ნორვეგია						
კანადა	5	4	0	1	28:10	8
ფინეთი	5	3	1	1	17:7	7
აშშ	5	3	0	2	11:10	6
ჩეხეთი	5	2	2	1	14:12	6
ლატვია	5	1	1	3	7:23	3
ნორვეგია	5	0	0	5	5:20	0

F ჯგუფი						
ბელორუსია 2:1 შვეიცარია						
სლოვაკეთი 8:0 უკრაინა						
რუსეთი	5	4	1	0	22:11	9
შვედეთი	5	2	2	1	17:15	6
ბელორუსია	5	3	0	2	16:10	6
სლოვაკეთი	5	2	1	2	19:10	5
შვეიცარია	5	1	2	2	12:15	4
უკრაინა	5	0	0	5	4:29	0

კიფერმა ჰამბურგელებს ჰანოვერი აჩვენა



AFP ჰამბურგიდან

ნიკლას კიფერი კორტზე „ჰანოვერის“ მაისურით გავიდა

ნიკლას კიფერი თანამედროვე ჩოგბურთში კვლავაც ერთ-ერთ უმთავრეს არაორდინალურ პიროვნებად რჩება, თუმც, სამწუხაროდ, ეს გარესაჩოგბურთო საქმიანობაში უფრო ჩანს, ვიდრე კორტებზე...

ამჯერად კიფერმა ჰამბურგელი მაყურებელი გააოცა, როცა იურგენ მელცერთან მატჩში ბუნდესლიგის გუნდ „ჰანოვერ 96“-ის 69-ნომრიანი მაისურით ითამაშა. როგორც გაირკვა, ნიკლასი ამ გუნდის ქომაგი ყოფილა და ბუნდესლიგელებთან ერთად თურმე საკმაოდ ხშირადაც ვარჯიშობს.

„ეს ჩემი ოფიციალური ნომერია „ჰანოვერში“. ამიერიდან ჩემი მაისურა ფეხბურთელების მაისურებთან ერთად გაიყიდება. ეგებ ბევრი არც გასაღდეს, მაგრამ მე მაინც ჩემი გავაკეთე. „დიადორამ“ ATP-ის ხელმძღვანელობა დაითანხმა ამაზე და როცა მე მთხოვეს მაისურის ჩაცმა, ბევრი აღარ მიფიქრია. ეს ერთჯერადი მოვლენაა და, ალბათ, აღარ განმეორდება“ — ასე ახსნა თავისი საქციელი კიფერმა.

მატჩი კი გერმანელის გამარჯვებით დასრულდა, თუმც კვალიფიკაციიდან მოხვედრილ მელცერთან კიფერმა მაინც ბევრი იწვალა და რის ვაი-ვაგლახით მოიგო.

მეორე გერმანელი რაინერ შუტლერი კი როჯერ ფედერერს უნდა შეხვედროდა და მასთან არანაირი შანსიც არ ექნებოდა, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, „მხიარულმა როჯერმა“ დასვენება ინება საფრანგეთის ღია პირველობის წინ და ამით გულმოცემულმა შუტლერმაც შანსი არ დაუტოვა შვეიცარიელის მაგივრად მოთამაშე ლუკაშ დლუჰის.

სამაგიეროდ, ვერ შეირგო კიდევ ერთი ფავორიტი — რაფაელ ნადალის უარი ტომი ჰაასმა, რომელიც თვითონაც ნებაყოფლობით დაემშვიდობა ჰამბურგს. ხოლო რობინ სოდერლინგს, რომელიც გერმანიაში საერთოდ არ უნდა ჩასულიყო, ისე გაუმართლა, რომ მეორე წრეში საერთოდ უთამაშებლად გავიდა.

უნდა გამოიყოს განთესილი რობი ჯინჰერის მარცხიც. თუმც ეს ბევრს არც გაჰკვირვებია, ვინაიდან თიხნარი, სებასტიან გროჟანისგან განსხვავებით, ამერიკელის საყვარელი საფარი არასოდეს ყოფილა.

ნიკოლაი დავიდენკო „როლან გაროსს“ კარგ ფორმაში ხვდება. რუსის პროგრესი ბოლო კვირების განმავლობაში აშკარად თვალში საცემია და ასე თუ გააგრძელა, იქნებ პარიზში შარშანდელზე (მეოთხედფინალს უწია) უკეთ გამოვიდეს.

რომში კი მარტინა ჰინგისმა და ვინუს უილიამსმა ერთნაირად იოლად დაძლიეს მეორე წრის ბარიერი. შვეიცარიელი მართლაც ძალიან კარგად თამაშობს — ამჯერად მან პერსპექტიულ ნიკოლ ვაიდიშოვას არ დაუტოვა არანაირი შანსი.

უილიამსმა კი მეორე ჩეხს, ლუსი შაფაროვას მიუგო და კვალიფიკაციაც დარჩა კიდეც თავისი თამაშით.

„დღეს უფრო კარგად ვითამაშე, ვიდრე გუშინ. განსაკუთრებით მოწოდებაზე მოვუმატე. მთავარია, მალე შევიდე საბრძოლო ფორმაში“.

შემდეგ ეტაპზე ასევე გავიდნენ იტალიური დერბის მომგები ფრანჩესკა სკიავონე და ანა სმაშნოვას გამსაღგურებელი სვეტლანა კუზნეცოვა.

ქაჯა ლომაჯვილი

მასტერსი
კაცები. ჰამბურგი. გერმანია. თიხნარი.
საპრიზო 2 450 000 $

პირველი წრე

რაინერ შუტლერი (გერმანია) — **ლუკაშ დლუჰი** (ჩეხეთი) 4:6 6:2 6:2; **სებასტიან გროჟანი** (საფრანგეთი) — **რობი ჯინჰერი** (14, აშშ) 7:5 7:5; **ხოსე აკასუსო** (არგენტინა) — **სიმონ გროილი** (გერმანია) 6:2 6:1; **გასტონ გაუდიო** (6, არგენტინა) — **ალბერტო მარტინი** (ესპანეთი) 6:2 3:6 6:4; **უილ სიმონი** (საფრანგეთი) — **გრეგ რუსედსკი** (ბრიტანეთი) 6:1 6:1; **ნიკლას კიფერი** (9, გერნანია) — **იურგენ მელცერი** (ავსტრია) 6:2 2:6 6:3; **რობინ სოდერლინგი** (შვედეთი) — **ტომი ჰაასი** (გერმანია) **უარი**

მეორე წრე

იარკო ნიემინენი (13, ფინეთი) — **კრისტოფერ როხუსი** (ბელგია) 6:1 6:0; **ნიკოლაი დავიდენკო** (4, რუსეთი) — **ანდრეა სეპი** (იტალია) 6:1 6:2; **პოლანრი მატიო** (საფრანგეთი) — **კრისტოფ ვლიგენი** (ბელგია) 6:2 6:4; **რადეკ შტეპანეკი** (15, ჩეხეთი) — **ბიორნ ფო** (გერმანია) 6:4 6:3

ქალები
რომი. იტალია
თიხნარი
საპრიზო 1 340 000 $

პირველი წრე

ფლავია პენეტა (იტალია) — **კატერინა ბონდარენკო** (უკრაინა) 6:2 2:6 6:4; **სამანტა სტოსური** (ავსტრალია) — **დანიელა ჰანტუხოვა** (13, სლოვაკეთი) 2:6 6:1 6:3; **როზინა ოპრანდი** (იტალია) — **კრისტინა ბრანდი** (პუერტო რიკო) 6:0 5:7 6:3; **აიკო ნაკამურა** (იაპონია) — **მარტა დომაჩოვსკა** (პოლონეთი) 7:6 6:3; **ანა-ლენა გრონეფელდი** (11, გერმანია) — **ვირჯინია რაზანო** (საფრანგეთი) 6:2 4:6 6:4; **დინარა საფინა** (16, რუსეთი) — **ლაურა პოუს ტიო** (ესპანეთი) 6:4 6:2; **აპიკო მორიგამი** (იაპონია) — **ანა ჩაკვეტაძე** (რუსეთი) 4:6 6:2 4:2 *(უარი)*

მეორე წრე

მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) — **ნიკოლ ვაიდიშოვა** (12, ჩეხეთი) 7:5 6:3; **ფრანჩესკა სკიავონე** (11, იტალია) — **მარა სანტანჯელო** (იტალია) 6:4 6:0; **ვინუს უილიამსი** (9, აშშ) — **ლუსი შაფაროვა** (ჩეხეთი) 6:1 6:4; **სვეტლანა კუზნეცოვა** (7, რუსეთი) — **ანა სმაშნოვა** (ისრაელი) 6:1 6:3

9,766 = 9,77
ჯასტინ გატლინს რეკორდი გაუუქმეს

12 მაისს დოჰაში გამართულ იააფ-ის დიდი პრიზის სერიის შეჯიბრზე ამერიკელმა სპრინტერმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჯასტინ გატლინმა 100 მეტრი 9,76 წამში გაირბინა და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

ძველი მიღწევა იამაიკელ ასაფა პაუელს ეკუთვნოდა, 9,77 წამს უდრიდა და 2005 წელს იყო ნაჩვენები.

გატლინის მიერ ახალი რეკორდის დამყარების ამბავი უმალ გაიგო მთელმა მსოფლიომ და ამის შესახებ ჩვენმა გაზეთმაც აუწყა თავის მკითხველს, მაგრამ მთლად ასეც არ ყოფილა საქმე და ამერიკელმა რეკორდსმენის რანგში ერთი კვირაც კი ვერ გაძლო. როგორც დაზუსტებული მონაცემებით გაირკვა, ჯასტინს დისტანცია 9,766 წამში გაურბენია და მეათასედების მეასედებამდე დამრგვალებით 9,77 მივიღეთ. ყოველ შემთხვევაში, იააფ-ის მამებმა ასე გადაწყვიტეს პარიზში გამართულ შეხვედრაზე და ისე გამოვიდა, რომ გეტლინი თანარეკორდსმენობით უნდა დაკმაყოფილდეს.

ასე რომ, მსოფლიო რეკორდების გრაფაში 100 მეტრიანი დისტანციის გასწვრივ ამ წუთისთვის ორი გვარია აღნიშნული — პაუელი და გეტლინი. გამომდინარე იქიდან, რომ იამაიკელიცა და ამერიკელიც მშვენიერ ფორმაში იმყოფებიან, უახლოეს მომავალში უნდა ველოდოთ წონასწორობის დარღვევას. ვნახოთ, რომელი მათგანი დაჩქარებს კაცობრიობას.

AFP

გატლინს თურმე ამაოდ უხაროდა

ჯირო დიგალია 2006. 6-28 მაისი



AFP ტურინელიდან

ჯიროს პელეტონი ადრიატიკის სანაპიროს დაშორდა

ბასო თავისაზე ფიქრობს

ჯიროს მეათე ეტაპი ბოლო ადრიატიკული იყო, ოღონდ წინასგან განსხვავებით მთლად დუნე და მოსწყენი არ გამოვიდა, რაკი 187-კილომეტრიანმა გზამ არაერთი აღმართი გადაიარა და უსწორმასწორო რელიეფმა პელოტონის ერთიანობა გატეხა.

დიდი ბრძოლა გაჩაღდა ბოლო კილომეტრებზე — მოგებასთან ახლოს იყო ტურ დე ფრანსისა და ჯიროს ხუთ-ხუთგზის მომგები ლეგენდარული ბელგიელის ედი მერქსის შვილი აქსელ მერქსი, მაგრამ საბოლოოდ ისე მოხდა, მოლიდერე ჯგუფიდან მას ყველამ გასწრო. გაიმარჯვა იტალიელმა ფრანკო პელიცოტმ, თან მან გვარიანი სხვაობით, მთელი სამნახევარი წუთით მიასწრო ფინიშთან საერთო ჩათვლის ლიდერ ივან ბასოს და ვარდისფერი მაისურისთვის დავაშიც გვარიანად წაიწია წინ. ახლა ის ორ წუთზე ოდნავ მეტით ჩამორჩება ბასოს და გამარჯვების გარკვეული შანსიც უჩნდება, გაჩნია, თავს როგორ გამოიჩენს დღევანდელ 50-კილომეტრიან ინდივიდუალურ რბოლაში.

ბასოს კი როგორც ჩანს, პელიცოტის დარდი არ ჰქონდა — მთავარია მან წინ არ გაუშვა უახლოესი მდევრები, გუტიერესი და კუნეგო და მათთან სხვაობაც ყოველგვარი თაკისტკივილის გარეშე შენარჩუნა.

ირაკლი ფირაზვილი

მე-10 ეტაპი. 16 მაისი. ტერმოლი — პეშიჩი. 187 კმ

1 ფრანკო პელიცოტი (იტალია, ლიკვიგასი)	4სთ 39 წთ 47წმ
2 ვლადიმირ ეფიმკინი (რუსეთი, ილეს ბალეარსი)	იგივე დრო
3 სერგეი იაკოვლევი (ყაზახეთი, ლიბერტი სეგუროსი)	+2წმ

საერთო ჩათვლა

1 ივან ბასო იტალია, (CSC)	39სთ 29წთ 40წმ
2 ჯოსე გუტიერესი (ესპანეთი, ფონაკი)	+1წთ 34წმ
3 დამიანო კუნეგო (იტალია, ლამპრე)	+ 1წთ 48წმ
4 ფრანკო პელიცოტი (იტალია, ლიკვიგასი)	+2წთ 5წმ
5 პაოლო სავოლდელი (იტალია, დისკოვერი)	+2წთ 35წმ

FINALE 2006 PARIS

50 YEARS OF CHAMPIONS

AFP პარი ზიდან



AFP პარსელონიდან

ფეხბურთი

სუპერეტა. V ტური
სუნდსვალი 0:2 ტრელებორგი

უნგრეთი
თასის ფინალი
ფეჰერვარი 2:2დ.დ.(პენ.6:5, 2:2) ვაშაში

რუმინეთი
თასის ფინალი
რაპიდი 1:0დ.დ.(0:0) ნაციონალი

ამხანაგური მატჩები
ახალგაზრდულები (U-21)
დანია 2:0 ესპანეთი
ჰოლანდია 2:2 გერმანია

სლოვენია

პირველი ლიგა
XXXIII ტური
პრიმორიე 1:3 ნოვა გორიცა
ნაფტა 3:3 ბელა კრაინა
კოპერი 1:1 დრავა პტუი
მარიბორი 1:0 რუდარი
პუბლიკუმი 1:3 დომზალე

რუსეთი

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
ზენიტი 1:1 როსტოვი

ჩემპიონთა თასის ყველა ფინალი

13.06.56	პარიზი	რეალი (ესპანეთი) — რეიმსი (საფრანგეთი)	4:3
30.05.57	მადრიდი	რეალი (ესპანეთი) — ფიორენტინა (იტალია)	2:0
29.05.58	ბრიუსელი	რეალი (ესპანეთი) — მილანი (იტალია)	3:2
03.06.59	შტუტგარტი	რეალი (ესპანეთი) — რეიმსი (საფრანგეთი)	2:0
18.05.60	გლაზგო	რეალი (ესპანეთი) — აინტრახტი (გფრ)	7:3
31.05.61	ბერნი	ბენფიკა (პორტუგალია) — ბარსელონა (ესპანეთი)	3:2
02.05.62	ამსტერდამი	ბენფიკა (პორტუგალია) — რეალი (ესპანეთი)	5:3
22.05.63	ლონდონი	მილანი (იტალია) — ბენფიკა (პორტუგალია)	2:1
27.05.64	ვენა	ინტერი (იტალია) — რეალი (ესპანეთი)	3:1
27.05.65	მილანი	ინტერი (იტალია) — ბენფიკა (პორტუგალია)	1:0
11.05.66	ბრიუსელი	რეალი (ესპანეთი) — პარტიზანი (იუგოსლავია)	2:1
25.05.67	ლისაბონი	სელტიკი (შოტლანდია) — ინტერი (იტალია)	2:1
29.05.68	ლონდონი	მანჩესტერ იუნ. (ინგლისი) — ბენფიკა (პორტუგალია)	4:1
28.05.69	მადრიდი	მილანი (იტალია) — აიაქსი (ჰოლანდია)	4:1
06.05.70	მილანი	ფეიენოორდი (ჰოლანდია) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი)	2:0
02.06.71	ლონდონი	აიაქსი (ჰოლანდია) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი)	2:0
31.05.72	როტერდამი	აიაქსი (ჰოლანდია) — ინტერი (იტალია)	2:0
30.05.73	ბელგრადი	აიაქსი (ჰოლანდია) — იუვენტუსი (იტალია)	1:0
15.05.74	ბრიუსელი	ბაიერნი (გფრ) — ატლეტიკო (ესპანეთი)	1:1
17.05.74	ბრიუსელი	ბაიერნი (გფრ) — ატლეტიკო (ესპანეთი)	4:0
		გადათამაშება	
28.05.75	პარიზი	ბაიერნი (გფრ) — ლიდს იუნაიტედი (ინგლისი)	2:0
12.05.76	გლაზგო	ბაიერნი (გფრ) — სენტ ეტიენი (საფრანგეთი)	1:0
25.05.77	რომი	ლივერპული (ინგლისი) — მიონხენგლადბახი (გფრ)	3:1
10.05.78	ლონდონი	ლივერპული (ინგლისი) — ბრიუგე (ბელგია)	1:0
30.05.79	მიუნხენი	ნოტინგემ ფორესტი (ინგლისი) — მალმიო (შვედეთი)	1:0
28.05.80	მადრიდი	ნოტინგემ ფორესტი (ინგლისი) — ჰამბურგი (გფრ)	1:0
27.05.81	პარიზი	ლივერპული (ინგლისი) — რეალი (ესპანეთი)	1:0
26.05.82	როტერდამი	ასტონ ვილა (ინგლისი) — ბაიერნი (გფრ)	1:0
25.05.83	ათენი	ჰამბურგი (გფრ) — იუვენტუსი (იტალია)	1:0
30.05.84	რომი	ლივერპული (ინგლისი) — რომა (იტალია)	1:1 (პენ. 4:2)
29.05.85	ბრიუსელი	იუვენტუსი (იტალია) — ლივერპული (ინგლისი)	1:0
07.05.86	სევილია	სტიაუა (რუმინეთი) — ბარსელონა (ესპანეთი)	0:0 (პენ. 2:0)
27.05.87	ვენა	პორტუ (პორტუგალია) — ბაიერნი (გფრ)	2:1
25.05.88	შტუტგარტი	პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) — ბენფიკა (პორტუგალია)	0:0 (პენ. 6:5)
25.05.89	ბარსელონა	მილანი (იტალია) — სტიაუა (რუმინეთი)	4:0
23.05.90	ვენა	მილანი (იტალია) — ბენფიკა (პორტუგალია)	1:0
29.05.91	ბარი	ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — მარსელი (საფრანგეთი)	0:0 (პენ. 5:3)
20.05.92	ლონდონი	ბარსელონა (ესპანეთი) — სამპდორია (იტალია)	1:0დ.დ. (0:0)
26.05.93	მიუნხენი	მარსელი (საფრანგეთი) — მილანი (იტალია)	1:0
18.05.94	ათენი	მილანი (იტალია) — ბარსელონა (ესპანეთი)	4:0
24.05.95	ვენა	აიაქსი (ჰოლანდია) — მილანი (იტალია)	1:0
23.05.96	რომი	იუვენტუსი (იტალია) — აიაქსი (ჰოლანდია)	1:1 (პენ. 4:2)
28.05.97	მიუნხენი	ბორუსია (გერმანია) — იუვენტუსი (იტალია)	3:1
20.05.98	ამსტერდამი	რეალი (ესპანეთი) — იუვენტუსი (იტალია)	1:0
26.05.99	ბარსელონა	მანჩესტერ იუნ. (ინგლისი) — ბაიერნი (გერმანია)	2:1
24.05.00	პარიზი	რეალი (ესპანეთი) — ვალენსია (ესპანეთი)	3:0
23.05.01	მილანი	ბაიერნი (გერმანია) — ვალენსია (ესპანეთი)	1:1 (პენ. 4:2)
15.05.02	გლაზგო	რეალი (ესპანეთი) — ლევერკუზენი (გერმანია)	2:1
28.05.03	მანჩესტერი	მილანი (იტალია) — იუვენტუსი (იტალია)	0:0 (პენ. 3:2)
26.05.04	გელზენკირხენი	პორტუ (პორტუგალია) — მონაკო (საფრანგეთი)	3:0
25.05.05	სტამბოლი	ლივერპული (ინგლისი) — მილანი (იტალია)	3:3(პენ.3:2)
17.05.06	პარიზი	ბარსელონა (ესპანეთი) — არსენალი (ინგლისი)	2:1

შენიშვნა: 1992 წლიდან ჩემპიონთა თასი შეიცვალა ჩემპიონთა ლიგით

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: შაშა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხოშერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეჟლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, თამაზ ვოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარედაქციო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge